საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭდვის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსამაგლესია.

სამშაბათი, 14 მაისი. 2019 წ. №94 (8760) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

კვირის ნაცცეტები

გვარამია, პოლიტიკური გიჟი, მიშვებულია ნებას, მაგრამ, იმედია, მალე შეეყრება სნებას!..

გუბაზ სანიკიძე – კარგი მამის სირცხვილი

ძალაუფლებისთვის გაგიჟებული გვარამია უკვე წლებია, რაც ყოველგვარ ოპოზიციურ საზღვრებს გადასულია და თავის მედასტურე კვესიტაძე ეკუნასთან ერთად თავდასხმის რეჟიმში გესლისა და შხამის წარღვნას აფრქვევს ანტიქართველი სააკაშვილისგან ნაყაჩაღარ „ცრუსთავი-2“-ის ეკრანიდან.

კი ბატონო, ოპოზიციური არხი ხარ და გასაგებია, რატომაც იდგამ წელებზე ფეხებს, მაგრამ გაუგებარი ის არის, აგრერიგად რამ გაგიწყვიტა შუბლის ძარღვი, რამ დაგაკარგვინა ადამიანის სახე, ჯერ ისედაც საკმაოდ უსახურ ეშმაკისეულს. ნუთუ ვერ ხვდები, რომ „ოცნების“ მესვეურთა ყბამორღვეული ლანძღვა-გინებისას (იქნებ ზოგი რამ თვალსაზრისით, მართლაც არიან კრიტიკის ღირსნი!), საკუთარ თავს უფრო იმხელ, ვიდრე „ოცნების“ მესვეურთ რომ ელანძლე და ეგინებინე (მე შენ გეტყვი, ცოტა გაქვს, როგორც არაკაცსა და მრავალცოდვააკიდებულ მავნე ნაციონალს, სალანძღავი და საგინებელი!), მაგრამ ხომ ხედავ, რომ არავინ არაფრად არ გაგდებს, გინდა შენ და გინდა ავ დედაკაც ეკუნას გისარსალებიათ მოწამლულ ნესტრებად ქცეული ენები და გინდა გამუცელქორებულ სააკანთ ბიჭს გაუფუჭებია ჰაერი! ხალხი უკვე ერთნაირად აღგიქვამთ.

ანდა მაინც საიდან მოგაფიქრდათ, ზუგდიდელნო, ჰოლანდიელი აგენტის, ვინმე რულოვსის გათავქალება ზუგდიდში. ეს ხომ აშკარად ის შავი ხვრელი იქნება, საიდანაც გიული ალასანიას მხოლოდ ერთი პროცენტით ბერძენი ვარსკვლავთბიჭუნა უნდა შემოძვრეს, და მერე ნახეთ თქვენ, რა უბედურებაც მოხდება! ნუთუ მართლა ვერ ხვდებით, რასაც ეს უმცდარესი არჩევანი მოგიტანთ?! ეს თქვენი მეობის, თქვენი ნიჭიერების თვითდაცინვაა. მეგრელი მთელი ჩვენი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე მუდამ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე იყო, უეჭველად იცით, მამლუქები იქით მართავდნენ სხვათა ქვეყნებს და ახლა „ოცნების“ ჯიბრზე გინდათ, რომ თავზე დაისვათ ვიღაც გადამთიელი ქალი, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ შავი პოლიტიკური მიზნები ამოძრავებს და ზუგდიდიცა და ზუგდიდელებიც სულ თავის გრძელ ჰოლანდიურ ფეხებზე ჰკიდიხართ.

აგერ, ახლა, კვირას, არ მოუსმინეთ ეგრეთ წოდებულ **„კვირის ნაცცეტებს“?** ამჯერად ნიკოლასა და ეკუნას (ერთმანეთს ლაპარაკს რომ არ აცლიდნენ!) სტუმრად ჰყავდათ თავიანთივე მოღალატური ჭკუის „ყოველისმცოდნე ისტორიკოსი“, გუშინ, პარლამენტარობის დროს, მილიონზე დაგეშილი გუბაზ სანიკიძე, რომელსაც ამ ცოტა ხნის წინათ მეზურნესავით ლოყები ასკდებოდა ბიძინა ივანიშვილის ქება-დიდებით, ამჯერად კი უკვე ივანიშვილის უსინდისოდ ლანძღვა-გინებით ასკდება ბუნჩულა ლოყები და პირდაპირ ხმამაღლა აცხადებს, მე ბიძინა ივანიშვილის **დაუძინებელი** მტერი ვარო. ამას ამბობს ის გუბაზ სანიკიძე, რომელმაც მთელი თავისი პარლამენტარობა **ძილში გაატარა!**

ერთი სიტყვით, უნამუსო ცხენზე იჯდა და ფეხებს ატყაპუნებდაო, აფურთხებდნენ, და რა კარგი წვიმა მოდისო... სწორედ ისეა ამ ახლა დიდ თანამდებობას მოწყურებული პოლიტიკური წრუწუნა გვარამიას საქმე, რომელიც, ცოტა არ იყოს, დიდსულოვნად გაყუჩებული „ოცნების“ მხრიდან ევროპის გამაოცებელი დემოკრატიის იალაღზეა მიშვებული და საქვეყნოდ გაჰყვირის, ახლა ის დროა, ივანიშვილი გასაქცევად ემზადებოდეს, თორემ ნაციონალები მოვალთ თუ არა, მაგ არამზადას აუცილებლად დავიჭერთო.

აი, ესეც შენი აქცენტები თუ ნაცცეტები და ესეც შენი დემოკრატია! მეტი რაღა სამხილი გინდათ?! ყველაფერი აშკარაა!

ოთარ ფაცაცია

გამორჩეული ლიდერი, გულწრფელად კაცთმოყვარე ადამიანი ⑥

„შეიბ მახვილი“, ანუ „დონ კიხოტი“ – ჩემი მეგობური“ ⑤

რეზო ამაშუკელი

„ჯერ ჭკუას ბრძენთასა...“

„ყველაზე ძლიერი გონებაც კი შეიძლება რომ ერთხელ შეცდეს“

ხვალიდან

ანონსი

ასე ამბობდა შერლოკ ჰოლმსი

ქართულად გადმოაქცია გურამ გოგიაშვილმა

ШАВИ ЗЛВИС УСАФРТХОЕБИС МАСШТАБУРИ КОНФЕРЕНЦИА ТБИЛИСШИ

ШАВИ ЗЛВИС **რეგიონის უსაფრთხოება, რუსეთიდან მომდინარე საფრთხეები და მედიის როლი აღმოსავლეთ ევროპის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში** — ამ თემებზე თბილისში შავი ზღვის უსაფრთხოების მასშტაბური კონფერენცია იმართება.

ანალიტიკოსები, ვინც შეხვედრას ესწრებოდა, თავდაცვის და უსაფრთხოების მნიშვნელობაზე ამახვილებდნენ ყურადღებას. დარგის ექსპერტები ასევე აღნიშნავენ, რომ მთავრობამ მსგავსი ტიპის ღონისძიებები უნდა გამოიყენოს და ესაუბროს პარტნიორებს.

ღონისძიების მონაწილეები უკმაყოფილებას გამოხატავდნენ, რომ შეხვედრას თავდაცვის მინისტრი არ ესწრებოდა. თუმცა, პროგრამაში აღნიშნული იყო, რომ ღონისძიებაში მონაწილეობა შესაძლოა, მიეღო თავდაცვის მინისტრს ლევან იზორიას.

ღონისძიებაზე 50-ზე მეტი მაღალი რანგის მომხსენებელს ელოდებიან. ღონისძიებაზე იმყოფება თავდაცვის ყოფილი მინისტრი, თინა ხიდაშელი, რომელიც ამბობს, რომ სწორედ ასეთ შეხვედრებზე უნდა დადიოდეს იზორიას უწყების წარმომადგენლები.

„უბრალოდ, პროტოკოლით არ შეიძლება, თავი დავანებოთ სტრატეგიულ ინტერესებს, რომ პარტნიორი ქვეყნის თავდაცვის მინისტრის მოადგილეები ესწრებოდნენ კონფერენციას და იყვნენ მომხსენებლები და არ იყვნენ ანალოგიურად მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენლები... თამამად შემიძლია, გითხრათ, რომ პირველი შემთხვევაა, როდესაც ასეთ უპასუხისმგებლობას ვხედავ ხელისუფლების მხრიდან. ეს, რა თქმა უნდა, მორიგ ჯერზე უდასტურებს ჩვენს მეგობარ ქვეყნებსაც და მეგობარ ექსპერტებს, რომ განსაკუთრებული ინტერესი, აქტიურობა საგარეო ფრონტზე თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში, მაინცდამაინც, არ შეინიშნება და ამის მოლოდინი არ უნდა გვქონდეს,“ — განაცხადა თინა ხიდაშელმა.

შეხვედრის მთავარ თემებს თავდაცვა და უსაფრთხოება, ასევე ოკუპირებული რეგიონები და იქიდან მომდინარე საფრთხეები წარმოადგენს. „თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში სამოქალაქო საბჭოს“ გამგეობის წევრი თეონა აქუბარდია მსგავსი ტიპის კონფერენციებში თავდაცვის სამინისტროს მხრიდან პასიურობას კრიტიკულად აფასებს და ამბობს, რომ ქვეყნის იმიჯზე ეს უარყოფითად აისახება.

ლევან ვასაძე ხელისუფლებას აფრთხილებს, არ დაუშვას „ღირსების მარშის“ ჩატარება

ბიზნესმენი ლევან ვასაძე ხელისუფლებას აფრთხილებს, არ დაუშვას ორგანიზებული „ღირსების მარშის“ კვირეულის ჩატარება, რადგან საზოგადოების მხრიდან მიიღებენ მწვავე რეაქციას.

„თუ ისინი არ გააუქმებენ სიბილწის დემონსტრაციის მხარდაჭერის მცდელობას, მაშინ ხალხი ამას უარყოფს და ამას მოჰყვება ძალიან მკაცრი რეაქცია ჩვენი საზოგადოების მხრიდან.

ყოველ ჯერზე როდესაც ცდილობენ, ჩვენ მოგვახვიონ თავს უცხო, ბილწი, ჩვენი ტრადიციებისათვის მიუღებელი ტერმინოლოგია, პრაქტიკები, უსირცხვილობისა და არაკაცობის აღლუმები, ჩვენი ხალხი ყოველ ჯერზე მკაცრად უარყოფს ამას და იგივე იქნება ახლაც.

მე უბრალოდ გავაფრთხილე ჩვენი ხელისუფლება, რომ არ გააკეთონ ეს და არ დაიმსახურონ ის რისხვა, რომელსაც მიიღებენ თუ არ დაიხევენ უკან“, — განაცხადა ლევან ვასაძემ. შეგახსენებთ, რომ „თბილისის პრაიდის“ ორგანიზებით „ღირსების მარშის“ კვირეულის ჩატარება მიმდინარე წლის 18 -23 ივნისს.

კორუმპირებული სააკაშვილი ემიგრანტებს ფულს სთხოვს, თავად კი ვილებს ყიდულობს!

ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის განცხადებით, „საერთაშორისო დონის თაღლითობა და იშვიათი თავხედობაა ის, რომ მიხეილ სააკაშვილი ევროპის სხვადასხვა ქალაქში ქართველ ემიგრანტებს ხვდება და მათ ფულს სთხოვს, თავად კი ფლორიდაში ძვირადღირებულ ვილებს ყიდულობს, სავარაუდოდ, კორუფციული გარიგებებით ნაშოვნი თანხით“.

— აქვე კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ საუბარია იმ ადამიანებზე, ვინც მძიმე შრომით ირჩენს თავს და არჩენს ოჯახებს საქართველოში, მათ სთხოვს სააკაშვილი ფულს პოლიტიკური საქმიანობისთვის. ის სკანდალშია გახვეული და ხელისუფლების მიმართ გამოთქმული აბსურდული ბრალდებებით ცდილობს ამ სკანდალის გადაფარვას, — აცხადებს მამუკა მდინარაძე.

ის დარწმუნებულია, რომ „ამ თავხედობას ამომრჩეველი კიდევ ერთხელ უპასუხებს 19 მაისს და მხარს არ დაუჭერს პოლიტიკურად გაკოტრებულ ძალას, რომელიც ქვეყანას წარსულში დააბრუნებს“.

მატყუარა სააკას ფერადი სიზმრები მოეძალა!

მიხეილ სააკაშვილი ევროპაში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს ამჯერად მიუნხენში შეხვდა. დისკუსია 12 სხვადასხვა თემაზე შედგა. მათ შორის განათლებაზე, ეკონომიკაზე, ჯანდაცვაზე და ქვეყნისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან საკითხებზე

დისკუსია ემიგრანტებთან 5 საათს გაგრძელდა, დასრულების შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა შეხვედრა შეაფასა. მან ისაუბრა, ოლიგარქიულ რეჟიმზე, საქართველოში არსებულ პრობლემებზე, კორუფციაზე, რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებზე. გარდა ამისა, მესამე პრეზიდენტმა განაცხადა, რომ უნდა შეიქმნას საკადრო ბანკი, რადგან ემიგრაციაში იმყოფებიან უნიკალური გამოცდილების მქონე საქართველოს მოქალაქეები, რომელსაც ქვეყნისთვის დახმარების აღმოჩენა შეუძლია.

„ჩვენ უნდა შევქმნათ საკადრო ბანკი, მათ შორის ინტერნეტრესურსებით, საქართველოსთვის საუკეთესო კადრების პოვნისთვის. მათი ოფიციალური იდეოლოგია არის კორუფცია, და არ შეიძლება კორუფცია იყოს იდეოლოგია, ისინი მართავენ მხოლოდ კორუფციით. სიმართლე არის ჩვენს მხარეს, ინტელექტი არის ჩვენს მხარეს,ქართველი ხალხი არის ჩვენს მხარეს, ისტორია არის ჩვენს მხარეს, საქართველოს პოლიცია არის ჩვენს მხარეს, შეირაღებული ძალები არის ჩვენს მხარეს. საქართველოს განთავისუფლების ოპერაცია დღეს არის ოფიციალურად დაწყებული და ამას მივიყვანთ საბოლოო გათავისუფლებამდე“, — განაცხადა სააკაშვილმა.

ნარკოტიკები ამომრჩევლისთვის!

ზესტაფონის **მერობის დამოუკიდებელი კანდიდატი ვახტანგ რობაქიძე, მაჟორიტარ დეპუტატს შალვა კიკნაველიძეს ამომრჩევლებზე ზეწოლაში, მათთვის ნარკოტიკების დარიგებასა და მოსყიდვაში ადანაშაულებს.**

რობაქიძის თქმით, მას წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარების საშუალებას არ აძლევენ, მის მხარდამჭერებს დაჭერით, ზოგსაც კი სოციალური დახმარებების მოხსნით ემუქრებიან.

კანდიდატი ვითარების შესწავლის და მისი უფლებების დაცვის მოთხოვნით, სამართალდამცავებს, ხელისუფლებას და არასამთავრობო ორგანიზაციებს მიმართავს.

პერიოდულად საქართველოს გადარჩენის ერთადერთ გზად ხან ნეიტრალიტეტს გვისახავენ, ხანაც უბლოკო სტატუსს. ამის პარალელურად, აქტიურდებიან ნეიტრალიტეტის მოწინააღმდეგენიც და იხსენებენ მაკიაველის ცნობილ ნათქვამს, „ნეიტრალიტეტს მტრები გვთავაზობენ, რომ მერე შენზე იბატონონ“...

ჰგავს თუ არა ნეიტრალიტეტი, ან უბლოკო სტატუსი მაზოხისტურ თვითგვემას და ნიშნავს თუ არა კაპიტულაციას ოკუპირებული საქართველოსთვის?! ამის შესახებ For.ge-ს პოლიტოლოგი, „აღმოსავლეთ ევროპის ცენტრის მრავალპარტიული დემოკრატიისთვის“ ხელმძღვანელი ლევან ცუცქირიძე ესაუბრა.

ნეიტრალიტეტს მტრები გთავაზობენ, რომ მერე შენზე იბატონონ!..

ნიკოლო მაკიაველი

— როდესაც ნეიტრალიტეტზეა საუბარი, ყველამ იცის, რომ ცალკე ნეიტრალიტეტი არ გამოვა და ეს სტატუსი უნდა ემთხვეოდეს ყველა სხვა დიდი და ძლიერი სახელმწიფოს სურვილს, იხილოს ნეიტრალური ქვეყანა მსოფლიოს რუკაზე. ეს კი რთულად განსახორციელებელი ამოცანაა. რამდენად დაგვაშორებს ეს სტატუსი ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსს? ხომ არ დავრჩებით დასავლელი პარტნიორების მხარდაჭერის გარეშე?

— თუკი ნეიტრალური სტატუსის ქვეყნად ვიქცევით, ეს ნიშნავს, რომ ვერ ვიქნებით სამხედრო ალიანსის წევრი. ამიტომ პრობლემა მხოლოდ იმით არ ამოიწურება, რამდენად დაგვაშორებს ნეიტრალიტეტი ნატოსთან ინტეგრაციის პროცესში. ზოგადად, მე მგონია, რომ ოკუპირებული ქვეყანა უნდა ცდილობდეს, შეიძინოს ძლიერი მოკავშირეები და არ დაკარგოს ისინი. რეალურად ნეიტრალიტეტის მოთხოვნა არის სერიოზულ სამხედრო-პოლიტიკურ მოკავშირეებზე უარის თქმა. ჩვენი ქვეყანა ოკუპირებულია, ჰყავს მტერი რუსეთის სახით, რომელიც ყველანაირი მეთოდით, პირდაპირი, სამხედრო აგრესიის თუ არაპირდაპირი, საინფორმაციო ომის მეთოდით, ჰიბრიდული ომის ფორმებით ცდილობს, ჩვენი ქვეყანა არსებობდეს მხოლოდ ფორმალურად, რუკაზე და რეალურად არ იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი. ასეთ პირობებში, ზოგადად, პოლიტიკის თეორიაშიც, უსაფრთხოების საკითხების მეცნიერებაშიც და ყველგანაც საუკეთესო გამოსავალია, გვყავდეს ძლიერი მეგობრები, მათ შორის, სამხედრო მეგობრები, ამიტომაც ნატოსთან ინტეგრაცია ამ მხრივ ეროვნული ინტერესის საკითხია.

— სალომე ზურაბიშვილის განცხადების შემდეგ ხომ არ დაჩქარდა პროცესები და „პატრიოტთა ალიანსი“ ამიტომაც ხომ არ ალაპარაკდა ნეიტრალურ სტატუსზე? მოგეხსენებათ, ზურაბიშვილი საქართველოში ამერიკული სამხედრო ბაზის მშენებლობის იდეას არ იწონებს.

— ბუნებრივია, რუსეთის ინტერესია, საქართველო არ იყოს მსოფლიოს ყველაზე წარმატებული სამხედო ალიანსის წევრი. შესაბამისად, საქართველოში რა ფორმულირებას შეიძენს ეს იდეა-მიუმხრობლობის, ნეიტრალიტეტის, უბლოკო სტატუსის, ეს ტექნიკის ამბავია. საერთაშორისო ზურაბიშვილმა ძალიან კარგად უნდა იცოდეს იმ რეფერენდუმის შედეგები, სადაც ქართველმა ხალხმა ნათლად გამოხატა საკუთარი ეროვნული ნება ამ საკითხთან დაკავშირებით. მე მგონი, პრეზიდენტი ამ ეროვნულ ნებას უნდა ემორჩილებოდეს. დემოკრატიის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი და საფუძველია ის, რაც ხალხმა რეფერენდუმზე ნათლად თქვა. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები ყოველწლიურად და წელიწადში რამდენჯერაც ტარდება, ეს გამოკითხვები აჩვენებს, რომ ქვეყანაში არსებობს ძალიან მტკიცე კონსენსუსი ამ საკითხთან დაკავშირებით. ამიტომ სამწუხაროა, თუკი პრეზიდენტი არ ითვალისწინებს ამ ყველაფერს.

ამერიკის სამხედრო ბაზებზე იყო საუბარი, ნატოში წევრობა იმას ნიშნავს, რომ ნატოს წევრობიდან გამომდინარე, ჩვენს ქვეყანაში შესაძლოა, აღმოჩნდნენ ამერიკის სამხედრო მოსამსახურეები, გაიხსნას ნატოს ბაზა და ა.შ.

— ალბათ, ჩვენს საზოგადოებაში იმ მოსაზრებასაც აქვს არსებობის უფლება, რომ ჩვენ არ უნდა გავაღიზიანოთ რუსეთი. მართალია, რუსეთი მუდამ გაღიზიანებულია, მაგრამ ამერიკული ბაზები ამ თვალსაზრისით უვნებელია?

— იცით რა, რუსეთის გაღიზიანება ერთი საკითხია, მაგრამ მარტივად რომ ავხსნათ, როდის უფრო დაუცველია საქართველო, როდესაც ის არ არის ძლიერი სამხედრო ალიანსის წევრი და მას თავდაცვითი ამოცანების შესასრულებლად გვერდით არავინ უდგას, თუ მაშინ, როდესაც საქართველო იქნება უძლიერესი სამხედრო ბლოკის წევრი და მაგალითისთვის თეორიულად დავუშვათ, მის ტერიტორიაზე განთავსებული იქნება იმ ქვეყნის სამხედრო ბაზები, რომელთა ბიუჯეტიც რუსეთის თავდაცვის ბიუჯეტს ათჯერ და მეტჯერაც აღემატება. ეს მარტივი ჭეშმარიტებაა, რომ საქართველო დაუცველია მაშინ, როდესაც ის არის სუსტი და არის მარტო. ცხადია, საქართველო უფრო უსაფრთხოდაა, როდესაც ძლიერ მეგობრებთან აქვს მჭიდრო კავშირი.

— ცალკეული ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ რუსეთმა ძალიან კარგად იცის, ნატოში არ მიგვიღებენ და ამაოდ ვირჯებით. ამ მხრივ თქვენ იმედიანად ხართ განწყობილი?

— ნატოსთან ინტეგრაციის პროცესი თავისთავად უკვე არის ძალიან სერიოზულ პოზიტიურ შედეგთა მომტანი საქართველოსთვის, რადგან თვითონ ამ პროცესით დღესაც კი საქართველო ძალიან დიდ სარგებელს იღებს. შევადაროთ დღევანდელი ქართული არმია 20 წლის წინანდელ არმიას. რასაც დღეს წარმოადგენს ქართული შეიარაღებული ძალები, დიდწილად ნატოსთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგია. ყველაზე კარგი ლაკმუსის ტესტი იმისთვის, არის თუ არა ნატოში გაწევრიანება რეალურად კარგი ქვეყნისთვის, არის სამხედროებთან საუბარი. ეს უნდა ვკითხოთ თვითონ სამხედროებს და, მე მგონია, სამხედროების პასუხი ამაზე ერთმნიშვნელოვანია. ამ ადამიანებმა ყველაზე კარგად იციან ფასი სამხედრო სამსახურის, ფასი უსაფრთხოების, ფასი თავდაცვის და მათი აზრი ჩემთვის მნიშვნელოვანია. მათი უმრავლესობა იზიარებს აზრს, რომ საქართველო უნდა იყოს ნატოს მეგობარი.

— პარალელები შეიძლება მოვიყვანოთ უკრანასთან მიმართებით, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ უკრაინამ გამოაცხადა ნეიტრალიტეტი, თუმცა რუსეთმა უკრაინის დამოუკიდებლობა შებღალა, სისხლში ჩაახშო. ასევე, საინტერესოა შევარდნაძის მაგალითიც, რომელმაც დსთ-ში შეიყვანა საქართველო, მაგრამ ამის მიუხედავად,ტერიტორიული მთლიანობა ვერ აღადგინა. პოსტსაბჭოთა სივრცის ეს მაგალითები ხომ არ ადასტურებს, რომ ნეიტრალიტეტის მომხრეებს რუსეთისგან სიკეთის ქმნის 1%-ის იმედიც არ უნდა ჰქონდეთ?

— დავიწყოთ იმით, რომ რუსეთმა უკრაინის დამოკიდებლობა ვერ ჩაახშო. მიუხედავად იმისა, რაც მოხდა ყირიმში, უკრაინის არმია მაინც ფეხზე დადგა და დღითი დღე ძლიერდება. რა თქმა უნდა, უკრაინის დღევანდელი პოლიტიკური ლიდერები, ახლადარჩეული პრეზიდენტიც და წინა პრეზიდენტიც კარგად ხედავენ და ხედავდნენ იმას, რამხელა დანაშაული და პოლიტიკური შეცდომა იყო, ნატოსთან მჭიდრო კავშირების გაწყვეტა და უკრაინული არმიის პრაქტიკულად დანგრევა იანუკოვიჩის მიერ. სინამდვილეში, ნეიტრალიტეტი სატყუარაა იმ ადამიანებისთვის, რომლებიც, ჩემი აზრით, ცოტანი არიან საქართველოში. ისინი არ არიან გაცნობიერებული ამ საკითხში და ჰგონიათ, ნეიტრალიტეტს რომ გამოვაცხადებთ, მერე ყველა თავს დაგვანებებს. ბუნებრივია, ასე არ იქნება, არსებობს ინტერესი, რუსეთის ინტერესი, საქართველო არ იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო. ამით დამთავრდა ყველაფერი. ჩვენთვის თუ ღირებულია თავისუფლება და დამოუკიდებლობა, უნდა ვეძებოთ სწორედ ასეთი მეგობრები, ანუ თავისუფალი და დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოების კავშირი. ასეთი ერთადერთია და ეს არის სწორედ ნატო.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

ნატურალური რძის პროდუქტების წარმოება უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია!

საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ოთარ დანელიას განცხადებით, ნატურალური რძის პროდუქტების და განსაკუთრებით ყველის წარმოება, სოფლის მეურნეობის სფეროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია

„ნატურალური რძის პროდუქტების და განსაკუთრებით ყველის წარმოების პრიორიტულობას ამ საკითხისადმი სახელმწიფოს მიდგომაც ადასტურებს. ხელისუფლება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ამ სფეროში მეწარმეების მხრიდან ნებისმიერ ინიციატივას. ნატურალური რძის პროდუქტების წარმოების ხელშეწყობის ნათელი მაგალითია საგადასახდო რეჟიმიც, რომელშიც ეს სფეროა მოქცეული“, — აცხადებს დანელია.

მისი თქმით, კვლავაც განსაკუთრებული ხელშეწყობა ექნება სოფლის მეურნეობის სფეროს ამ მიმართულებაში ინვესტიციების განხორციელებას.

აგრალური კომიტეტის თავმდომარე მიიჩნევს, რომ ნატურალური რძის პროდუქტების წარმოებაში ინვესტიციების განხორციელება ბიზნესში ყველაზე რენტაბელური და მომგებიანი მიმართულებაა, სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობის პროგრამები კი სფეროს სტიმულირებას და განვითარებას ემსახურება.

საქართველოს ენერგოსისტემას 3 მგვტ ელექტრო-ენერგია შეემატა

სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციამ“ „ჩხოროწყუჰესის“ გენერატორი №1-ის რეაბილიტაცია დასრულა. რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ჰიდროაგრეგატს, შესაბამისად, 6 მგვტ-იანი ჰესის გამომუშავება, დადგმულ საპროექტო გამომუშავებას მაქსიმალურად მიუახლოვდა. მხოლოდ ამ პროექტში კომპანიამ 2 252 000 ლარის ინვესტიცია განახორციელა.

„1967 წლიდან, ანუ მას შემდეგ, რაც ჰესი გაეშვა ექსპლუატაციაში, აგრეგატის ასეთი მასშტაბური და სრული რეაბილიტაცია არ მომხდარა. დამონტაჟდა თანამედროვე მართვის და მონიტორინგის სისტემა (**SCADA**), ასევე თანამედროვე სარელეო დაცვები და გამოიცვალა სხვა დეტალები და კვანძები, რომლებიც აუცილებელია, ჰიდროაგრეგატის გამართული და ეფექტური მუშაობისთვის“ — განაცხადა სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციის“ ჰესების ექსპლუატაციის, დიაგნოსტიკისა და პროფილაქტიკის დეპარტამენტის უფროსმა ლევან საჩალელმა.

„ჩხოროწყუჰესის“ აგრეგატის რეაბილიტაცია-რეკონსტრუცია 2017 წლიდან, 2 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. ამ დროის განმავლობაში მუშაობდა ჰესზე არსებული მხოლოდ ერთი აგრეგატი, რომელიც დაახლოებით 2,6 მგვტ სიმძლავრეზე მუშაობდა. მეორე აგრეგატის რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ კი მოხერხდა გამომუშავებული ელექტროენერგიის გაზრდა.

მოვალეთა რიცხვი გაიზარდა

მხოლოდ 2019 წლის პირველ სამ თვეში მოვალეთა რეესტრს 23254 ფიზიკური და იურიდიული პირი შეემატა. მოვალეთა რეესტრში პირი რეგისტრირდება მაშინვე, როცა მის მიერ ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო იწყება აღსრულების პროცესი.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ შეისწავლეს მოვალეთა რეესტრის მონაცემთა დინამიკა. ორგანიზაციის იურისტმა სოფიო მექანარიშვილმა „რადიო თავისუფლების“ ეთერში სურათი ასე წარმოაჩინა:



„ოთხი წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო 2018 წელს — მოვალეთა რეესტრში დარეგისტრირდა 100012 პირი. შესაბამისად, ყველაზე მეტი ფიზიკური პირიც ამ წელს დარეგისტრირდა — 96464. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი მოვალეთა რეესტრში რეგისტრირებული პირების ფიქსირდება 2016 წელს, როცა დარეგისტრირდა 76984 პირი.

რაც შეეხება პირებს, რომელთა მიმართაც შეწყდა სააღსრულებო წარმოება, ყველაზე მეტი იყო 2017 წელს — 41231პირის მიმართ.

ზოგადად თუ შევაფასებთ ამ წლების სტატისტიკას, არის საკმაოდ მზარდი, არასტაბილურად მზარდი“.

„ეს არის იმ ადამიანების ბაზა, რომლებსაც აქვთ შესასრულებელი ფულადი ვალდებულება. შესაძლებელია მათ საკუთრებაში არ ირიცხებოდეს უძრავი ქონება, მაგრამ იმ მომენტიდან, როცა იმ პირზე, ვინც მოვალეთა რეესტრშია, საჯარო რეესტრში დარეგისტრირდება რაიმე სახის უძრავი ან მოძრავი ქონება, მას ავტომატურად შეეზღუდება ამ ქონებით სარგებლობის უფლება, ვინაიდან პრიორიტეტულია, რომ ის ვალდებულება, რომელიც მას შესასრულებელი აქვს, როგორც მოვალეს კრედიტორის წინაშე, იქნას შესრულებული“

რა შემთხვევაში შეიძლება ამოირიცხოს პირი მოვალეთა რეესტრიდან?

„აღსრულების პროცესი შესაძლებელია შეწყდეს: სასამართლოს გადაწყვეტილებით; თუკი კრედიტორი და მოვალე მორიგდებიან და კრედიტორს აღარ აქვს პრეტენზია მოვალის მხრიდან ვალდებულების შესრულებაზე; რა თქმა უნდა, წყდება იმ შემთხვევაში, თუკი ვალდებულება შესრულდება. ძირითადად ეს სამი საფუძველია“.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ მიერ მოპოვებული ინფორმაციით, 2019 წლის პირველ სამ თვეში აღსრულების გზით „კომერციულმა ბანკებმა, საერთო ჯამში, 161.707653 ლარის ღირებულების უძრავი და მოძრავი ქონება დაისაკუთრეს“.



„საშიში ლიფტები“

საქართველოში ლიფტების ინსპექტირება სავალდებულოა. იმ შემთხვევაში, თუ ლიფტი ინსპექტირებული არ არის, კანონით ჯარიმდება ლიფტის მფლობელიც. ინსპექტირება კი ყოველ სამ წელიწადში ერთხელ უნდა განხორციელდეს.

ერთ-ერთი მსხვილი კომპანია, რომელსაც ლიფტების და სხვა საშიში ობიექტების უსაფრთხოების გამოვლენა ევალება, „სიეი ინთერნეიშენალია“. კომპანიის გენერალური დირექტორის სანდრო შელიას თქმით, ლიფტების ინსპექტირების ძირითადი ნაწილი ახლადაშენებულ კორპუსებზე მოდის, რომელთაც ვალდებულება აქვთ, ლიფტების ინსპექტირება განახორციელონ, რადგან ისე ობიექტს ვერ ჩააბარებენ, თუმცა, თუ მფლობელები არიან კორპუსების ამხანაგობები, ასეთი ლიფტების პერიოდული ინსპექტირება თითქმის არ ხორციელდება. შესაბამისად, კანონს ძალა აქვს დაკარგული.

სანდრო შელია იმასაც ამბობს, რომ უბედური შემთხვევების უმეტესობა არაპროფესიონალ კადრებსაც უკავშირდება. მისი თქმით, უბანში ხშირად შეხვდებით ე.წ. ხელოსნებს, რომლებიც ლიფტის შესაკეთებლად მხოლოდ მაშინ მოდიან, როცა ლიფტი გაფუჭდება.

შელიას განცხადებით, აუცილებელია, ამ პროცესებში სახელმწიფო აქტიურად ჩაერთოს და მოახდინოს საზოგადოების ინფორმირება იმის შესახებ, რომ ლიფტების ინსპექტირება სავალდებულოა.

„საქართველოში არსებობს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო, ეს არის მარეგულირებელი, რომლის კომპეტენციაშიც შედის ეს საკითხი. თუ ნივთმა გაიარა ინსპექტირება, ჩვენ ვდებთ ანგარიშს იმ შეუსაბამობებით, რომელსაც ვაფიქსირებთ და ლიფტის მეპატრონეს ვაძლევთ გარკვეულ ვადას, რომლის განმავლობაშიც ეს შეუსაბამობები უნდა აღმოფხვრას.

მთავარი პრობლემა არის ის, რომ ვერავინ ვერ ახორციელებს ეფექტურ ინფორმირებას; პირველი, რაც უნდა მოხდეს, ეს არის ინფორმირება, რომ სავალდებულო არის ლიფტების ინსპექტირება. მე ვთვლი, რომ ამ პროცესებში მერიამ თავის თავზე უნდა აიღოს ინიციატივა იმისთვის, რომ ერთობლივად განახორციელოს პროექტი, რომელშც ჩვენც ვიქნებით ჩართულები, რომ ერთიანად რაღაც ანალიზი ჩატარდეს, უნდა გავიგოთ, რა პრობლემები აქვთ ლიფტებს. ეს კი იმისთვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ არსებული ლიფტების მდგომარეობა გაუმჯობესდეს და შემდეგ რეალურ ძალაში შევიდეს ის კანონი, რომელიც უკვე არსებობს“, — აცხადებს კომპანია „სი ეი ინთერნეიშენალის“ გენერალური დირექტორი სანდრო შელია.

BMG
COMMERSANT.GE

აღარც ცის ლაჟვარდი კრთის და აღარც ანკარაა... მტკვარი

ბორჯომის ერთ-ერთ მკვიდრს მდინარის დაბინძურებისთვის 200-დან 300 ლარამდე ჯარიმა ემუქრება. რატომ გახდა მნიშვნელოვანი ამ პატარა ქალაქში მცხოვრები ერთი კერძო პირის წინააღმდეგ წამოწყებული ეს არც ისე მნიშვნელოვანი დავა?

8 მაისს ბორჯომში მცხოვრებმა კიდევ ერთმა მოქალაქემ თამთა დაუნჯიშვილმა ფეისბუქში ატვირთა ვიდეო, რომელიც „ვირუსული“ გახდა. მობილური ტელეფონით გადაღებულ მასალაზე ჩანს, როგორ ყრის 2 მამაკაცი სამშენებლო ნაგავს ქუჩიდან პირდაპირ მტკვარში. ნაგავი ერთ-ერთი მშენებარე სახლის წინ აწყვია.

ამ ვიდეოს, რომელიც სოციალური ქსელით 200 ათასამდე ადამიანმა ნახა, მოქალაქეთა აღშფოთებული კომენტარები მოჰყვა: **„უნდა ამოიცნო, ვინაა, მიხვიდე და სახლში სულ ტომრებით დაუყარო ქვიშა“; „მაგის იდენტიფიკაციას რა უნდა. დააჯარიმონ პატრონიც და მშენებელიც!“** — ითხოვდნენ გაბრაზებული მოქალაქეები.

მშენებარე სახლის მეპატრონის ვინაობით სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი დაინტერესდა. მათ დაადგინეს, რომ შენობა მარინა წიქარიშვილს ეკუთვნის.

„ასე რატომ მოხდა, მე თვითონაც მიკვირს. აქამდე იმდენი სამშენებლო ნარჩენი გაგვიტანია. მთელ ქუჩას ვხვეტავ ხოლმე. ჩემები არ იყვნენ. არ ვიცი, ვინ გადაყარა, იმ დროს ადგილზე არ ვიყავი. სავარაუდოდ, მანქანამ გაიარა, ტომრებმა ხელი შეუშალა და გადაყარეს. ყველანაირ სასჯელს მივიღებთ, თუ რამე გვეკუთვნის“, — ამბობს მარინა წიქარიშვილი.

რა მოჰყვა „ვირუსულ ვიდეოს“ სადაც ჩანს როგორ ყრიან ნაგავს მტკვარში?

საცხოვრებელი სახლის მშენებლობა 1 წელია, მიმდინარეობს,შენობა ბორჯომის ავტოსადგურის სიახლოვესაა და მტკვარს გადაჰყურებს. ნინო მამასტარაშვილი, რომელსაც მშენებარე სახლის სიახლოვეს მაღაზია აქვს, ამბობს, რომ ნაგვის მტკვარში გადაყრა ბორჯომში ჩვეულებრივი ამბავია: **„ჩაუყევით ქუჩას და ნახეთ, რამდენი სამშენებლო ნარჩენი ყრია. ეს არ ხდება ერთჯერადად და მე მგონი, ერთ ადამიანზე ჯოხის გადატეხვა არ არის სწორი. საღამოობით გარემოვაჭრეები ნარჩენებს მთლიანად ყრიან მტკვარში. აქეთ გაგლანძღავენ, შენიშვნა რომ მისცე. იზრუნოს მუნიციპალიტეტმა, რომ აღკვეთონ ასეთი ფაქტები“**, — ამბობს ნინო მამასტარაშვილი.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა ფეისბუქზე გამოქვეყნებული ვიდეოსა და საქმის შესწავლით დაადგინა, რომ მტკვარში სამშენებლო ნარჩენები სახლის მშენებლობაზე დასაქმებულმა მუშამ გადაყარა, მეპატრონესთან შეუთანხმებლად.

ოქმის შედგენისას პასუხისმგებელ პირად მუშაა მითითებული. და თუ კი მოსამართლე ჯარიმის გადახდის გადაწყვეტილებას გამოიტანს, დიდი ალბათობით თანხის გადახდა სწორედ მას მოუწევს და არა შენობის მეპატრონეს. საქმეს ახალციხის რაიონული სასამართლო განიხილავს.

WWW.RADIOTAVISUPLEBA.GE

48 ათასი ლარი ტატუს მოსაშორებლად

საქართველოს იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის განცხადებით, ყოფილი პატიმრებისთვის ტატუს მოსაშორებლად სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 48 ათასი ლარი გამოიყო.

„ტატუს ამოშლა არის უფრო და უფრო რთული, უფრო და უფრო ძვირი. მინდა, მოვუწოდო ყველას, რომ არ დაიზიანონ ხელები, კანი. იმიტომ, რომ ეს არ არის მარტივი მოსაშორებელი. ამიტომ ჩვენ ამ თანხად — 48 ათას ლარად — მხოლოდ 60-მდე ბენეფიციარს შევძლებთ რომ მოვაშოროთ ტატუ. რესოციალიზაციისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენ 2013 წლიდან 130-მდე ყოფილ პატიმარს მოვაშორეთ ტატუ, რამაც მათ საშუალება მისცა, რომ ჩვენი საზოგადოების სრულფასოვან წევრებად ეგრძნოთ თავი,“ — განაცხადა თეა წულუკიანმა.

ტატუს მოშორება ყოფილი პატიმრებისთვის რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ხორციელდება.

ჯუგაანში სეტყვის საწინააღმდეგო ჭურვი სახლს დაეცა

სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯუგაანში მცხოვრები კიკილაშვილების საცხოვრებელი სახლი სეტყვის საწინააღმდეგო ჭურვის დაცემის შედეგად დაზიანდა.

სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარიდან გასროლილი ჭურვი ჯერ სახლის სახურავს დაეცა, შემდეგ კი ოთახის ჭერი და იატაკი დააზიანა.

ოჯახის წევრები ამბობენ, რომ შემთხვევა იმ დროს მოხდა, როდესაც კახეთში სეტყვა იყო. მათივე თქმით, სახლში ოჯახის თითქმის ყველა წევრი იმყოფებოდა.

ქართველი სპეციალისტები რაკეტის ტექნიკურ სპეციფიკასთან შეუსაბამო მუშაობის შესახებ განმარტებებს რაკეტების მწარმოებელი ბულგარული კომპანიისგან ითხოვენ. მანამდე კი კიკილაშვილებისთვის მიყენებულ ზიანს „ბუნებრივ პროცესებზე აქტიური ზემოქმედების ცენტრი“ აანალიზებს.



„შეიბ მახვილი“, ანუ „დონ პიხოტი“ — ჩემი მეგზური“

ძვალი და ტყავი
თორ-აბჯარში გამოსლართული,
მარადი მგზავრი,
სევდიანი მუდამ იერით,
ხარ ტკივილამდე ახლობელი
რაღაც ქართულით,
ვით იმერელი აზნაური გუდამშიერი!

ჩემო შეშლილო მეგობარო,
გემშვიდობები!
მეც ცხვირპირიდან სიმწრის ძმარი
ისევ მადინეს!
ვერა გავიგე
ამა სოფლის წაგებ-მოგების,
თუმც სიბერემდე,
როგორც შევძელ, ვიშერმადინე!

მეც ბევრს ვუკმიე საკმეველი
ნელი გუნდრუკით,
ბევრი ვიომე
ურჩხულებს და ქარის წისქვილებს...
გადიხარხარებს ღვარძლიანად
ვინმე მუტრუკი,
ოდეს იფეთქებს სიყვარული
და დაიკივლებს!..

ჩემო დაღლილო მეგობარო,
შევცოდე რადგან,
შენს მეგობრობას ვიბრალებ და
ბავშვივით მჯერა!
შენ კი საწყალი როსინანტით
ჩაქჩაქებ სადღაც
და დულსინეას სიყვარული
გაწვალებს ერაც!..

აი მარადი მარტოობა,
აი სუდარა,
სახეს მწუხარეს რომ გიბურავს
მკრთალი ნათებით...
ისევ ხითხითებს
ღვთაებრივი აისიდორა,
ისევ ჩხავიან მსხვილ ეჟვნებით
შავი კატები...

თხემით ტერფამდე სიკეთე ხარ,
ჩემო კიხანა,
წუთისოფელი,
შენ რომ ფიქრობ, უფრო ფლიდია!
ბევრმა ააწყო ეს ცხოვრება
როგორც გიტარა
და ახლა სხვათა სატკივარი
ფეხზე ჰკიდია!

რაც იყო გუშინ,
რაც გუშინწინ,
ის არი დღესაც,
ისევ ავარდა მედროვეთა მდარე მიზანდა!
წერილ არს: —
„...სახლსა სალოცველი ეწოდოს ჩემსა,
ხოლო თქვენ იგი გიყოფიეს
ქვაბ ავაზაკთა...“

...ამ შუა ღამით
ჩემს კარებთან რამ მოგიყვანა?

შევძლებ, მარადი სათნოებით,
შენით, ვიდავო?
მაცხოვრის ხატო, გაცრეცილო,
ჩემო კიხანა,
ჩემო საწყალო მეგობარო,
ჩემო იდალგო!

...ოდეს დაადგრა
მოკაშკაშე ვარსკვლავი ბეთლემს,
შვების ცრემლებით დაენამა
ღაწვი მარიამს...
ანათებს დღესაც
საქართველოს მონასტრის კედლებს
სხივი, რომლითაც
ეს სამოთხე ნაწვიმარია.

მავანთ სიმრუდით,
მავანთ ქიშპით,
მავანთ ლაყბობით,
სამოთხეს ამას,
განქიქებად ნურვინ შებედავს!
სულის სიმტკიცით,
ღვაწლითა და ლუკმის გაყოფით,
კვლავ ამოდუღდა მარგალიტი
და ცად შედედდა!..

მაგრამ იესო,
ოთხი ლურსმნით ჯვარზე გაკრული,
არ შეივედრებს მაძღართ ხორხოცს,
ზრიალით მოთქმას!..
თუ მიაძინებს
საწამლავის წვეთი მზაკვრული
მხატვრის,
მეომრის,
ხუროთმოძღვრის ჯიშსა და მოდგმას!

ან ნაღდი დვრინით
ჩვენს სიმღერებს ვინღა იმღერებს,
თუ იშრიალებს დამშრალ ძარღვში
ყაყაჩო შხამით?!
როს უწვერული
სასიკვდილოდ დანას იღერებს,
როს კაცის ნაცვლად
დაკოდილი მოღოღავს გვამი?!

ღმერთი და რჯული!
მუდამ მძულდა ყველა ჯალათი,
მაგრამ დღეს ვდგავარ განჩინებად,
ბერანგით თალხით!
რადგანაც ზოგჯერ ბატიება
არი ღალატი
აწმყოს,
მომავლის,
ერისა და მშობელი ხალხის!..

„...ამოითხარე
თვალი იგი მაცდუნებელი,
რამეთუ სადი,
ცხოვნებითა მით გაგახარებს!..“
...და მოედანზე
გასისხლული გული ბებერი
ახლად დაკლული მამალივით
ხტის და ფართხალებს...

ვინ გვინგრევს ტაძარს,
შვილებს ჩვენსას ვინ ათრიაქებს?..
ვინ გადაჯეგა,
ვინ დაწყევლა მათი გაჩენა?..
შეიბ მახვილი,
დალეწე და დაიქიაქე,
ჩვენივ სისხლ-ხორცის
საშველად და გადასარჩენად!

სანამდე მწვანე მაიმუნი
ვერცხლის საყურით,
აქაც გაივლის,
გულისამრევ რწევით მდედრულით!
გვიან იქნება
მაშინ გულზე ხელის ბრახუნი,
გვიან იქნება კბილთა ღრჭენა
და საყვედური!..

კვალად აღლუმი?!
რა ფასი აქვს ან კი ხატობას,
ოდეს სატკივარს
მოგუგუნე ზარი სჭირდება!
და თუკი ვინმე
დამაბრალებს დონკიხოტობას,
აღარ ვინატრებ სხვა რამ დაფნას,
სხვა რამ დიდებას...

მე ვინ მაღირსებს
შენი დარდით მეც რომ ვიდაგო?!
ვიქნები მარად შენი სანჩო,
შენი მხლებელი!..
წინ!
ჩემო გიჟო მეგობარო, ჩემო იდალგო,
შეგაძლებინოს სიყვარულმა
შეუძლებელი!

1987 წლის 12 ოქტომბერი

№ 94. სამშაბათი, 14 მაისი, 2019 წელი.



გამორჩეული ლიდერი, გულწრფელად კაცთმოყვარე ადამიანი

ოთარ ფაცაცია იუბილარია!

გამოჩენილ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს ბატონ **ოთარ ფაცაციას** ამ დღეებში დაბადებიდან 90 წელი უსრულდება.

მეტად ნაყოფიერი და შთამბეჭდავია იუბილარის მიერ განვლილი ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზა. დაიბადა და გაიზარდა ზუგდიდის რაიონის სოფ. ინგირში ტრადიციულ ქართულ ოჯახში, იქვე მიიღო საშუალო განათლება და სწავლა განაგრძო ქ. ლენინგრადის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში ქაღალდისა და ცელულოზის წარმოების სპეციალობით, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1955 წ. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, სპეციალობას დაუფლებული და გამორჩეულ კულტურულ ტრადიციებს ნაზიარები, ახალგაზრდა ინჟინერი შრომით საქმიანობას იმდროინდელ სამხრეთ კავკასიაში ერთადერთ ქაღალდის წარმოების ქარხანაში – „ენგურქაღალდკომბინატში“ შეუდგა, საიდანაც დაიწყო მისი სამეურნეო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ხანგრძლივი და მრავალმხრივ საინტერესო გზა.

კომბინატის ახალგაზრდა ინჟინრის პროფესიონალიზმმა და საქმისადმი პასუხისმგებლურმა დამოკიდებულებამ ბუნებრივად განაპირობა მისი დაწინაურება პარტიულ სამუშაოზე, სადაც მოკლე ხანში განვლო ყველა საფეხური რაიკომის ინსტრუქტორობიდან პირველ მდივნობამდე და რეგიონის პარტიული ხელმძღვანელის თანამდებობამდე (1957-1965 წწ.). პარტიული ხელმძღვანელის ამპლუაშიც ის აღმშენებლობის განსაკუთრებული უნარითა და სიახლისკენ სწრაფვით გამოირჩეოდა. აღსანიშნავია მის მიერ შეტანილი წვლილი ისეთ მნიშვნელოვან მშენებლობებში, როგორიცაა საქართველოს ენერგოფლაგმანი – ენგურჰესი, ზუგდიდი-ჯვარის რკინიგზის განშტოება, ზუგდიდი-სოხუმის ტრასის რკინიგზის უნიკალური ესტაკადა და სხვ.

1965 წ. ო. ფაცაციამ კვლავ სამეურნეო სფეროში დაბრუნდა: ის სათავეში ჩაუდგა „ენგურქაღალდკომბინატს“. ამ თანამდებობაზე ფართოდ გაიშალა მისი ორგანიზატორული ნიჭი: წამგებიანი საწარმო მოკლე დროში საბჭოთა კავშირის ანალოგიური პროფილის წარმატებულ საწარმოთა რიგებში ჩადგა, რასაც კომბინატის არსებული საწარმოო ერთეულების რეაბილიტაციისა და გაფართოების, მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვის, ახალი თაობის მანქანა-დანადგარებით აღჭურვილი საწარმოების შექმნის გზით მიაღწია. მალე „ენგურქაღალდკომბინატის“ ბაზაზე ჩამოყალიბდა საწარმოო გაერთიანება „საქქაღალდმრეწვი“, რომელშიც სათაო საწარმოსთან („ენგურქაღალდკომბინატი“) ერთად გაერთიანდა თბილისის ქაღალდის ფაბრიკა, სამშენებლო სამმართველო „ენგური“ და ერგეტის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მწარმოებელი დამხმარე მეურნეობა. საწარმოს წარმატებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი იყო ის, რომ შეიცვალა ნედლეულის მიწოდების წყარო. ო. ფაცაციამ ცელულოზის ადგილზე დამზადების ნაცვლად დაიწყო მისი რუსეთიდან შემოტანა, რამაც სამეგრელო-სვანეთის ტყეები განადგურებას გადაარჩინა! მისი, როგორც ხელმძღვანელის ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს სოციალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა შეადგენდა: მისი პირადი ძალისხმევით საწარმოს ტერიტორიაზე აშენდა მრავალსართულიანი საცხოვრებელი ბინები, 100-საწოლიანი საავადმყოფო და დიაგნოსტიკური ცენტრი, თანამედროვე ტიპის სასტუმრო, კულტურის სასახლე, სკოლა, სპორტის სასახლე (საცურაო აუზით), სპორტული მოედნები და სხვ. ყოველივე ეს დაედო საფუძვლად ფართოდ გავრცელებულ აზრს, რომ ო. ფაცაციამ ქალაქში ქალაქი ააშენაო. ამ შეფასებაში არაფერია გადაჭარბებული.

ბ-ნი ო. ფაცაცია მრავალმხრივი პიროვნებაა. მასში ორგანიზატორულ ნიჭს ბუნებრივად ერწყმის ერისა და ქვეყნის წინაშე მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა. ამის დასტურია ურთულეს 90-იანი წლების დასაწყისში ზუგდიდის გამგებლის თანამდებობაზე მის მიერ გამოვლენილი სიბრძნე, ტაქტი და პოზიცია, რისი წყალობითაც არაერთი ტრაგიკული შემთხვევა თავიდან იქნა აცილებული.

სრულიად განსაკუთრებულია ბ-ნ ო. ფაცაციას მოღვაწეობა საქართველოს პრემიერ-მინისტრის რანგში. იგი ამ პოსტზე ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე რთულ და სიძნელეებით აღსავსე პერიოდში (1993-1995 წწ.) იმყოფებოდა, როდესაც ქვეყნის ეკონომიკა სრული კოლაფსის წინაშე იდგა, ხოლო საზოგადოება დაპირისპირებულ ბანაკებად იყო დაშლილი, დევნილად იყო ქცეული 300 ათასი ადამიანი აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან – ასეთ ვითარებაში პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე თანხმობის მიცემა და ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტაზე პასუხისმგებლობის აღება პიროვნული თავდადებისა და სამოქალაქო გმირობის ტოლფასი იყო. ბატონმა ოთარმა ამ უაღრესად მძიმე პირობებში შესაძლებლობის მაქსიმუმი გააკეთა იმისათვის, რომ აღდგენილიყო მოშლილი სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები, უზრუნველეყო ქვეყანა სასიცოცხლოდ აუცილებელი რესურსებით. მისი პრემიერ-მინისტრობის მთავარი არსი იყო ბრძოლა ხალხის ფიზიკური გადარჩენისათვის და მან ეს ბრძოლა ღირსეულად მოიგო.

ბ-ნი ო. ფაცაცია მრავალმხრივი პიროვნებაა. მასში ორგანიზატორულ ნიჭს ბუნებრივად ერწყმის ერისა და ქვეყნის წინაშე მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა. ამის დასტურია ურთულეს 90-იანი წლების დასაწყისში ზუგდიდის გამგებლის თანამდებობაზე მის მიერ გამოვლენილი სიბრძნე, ტაქტი და პოზიცია, რისი წყალობითაც არაერთი ტრაგიკული შემთხვევა თავიდან იქნა აცილებული.

აფხაზეთის პრობლემის გასაღები რომ სამეგრელოშია – ეს ბატონი ოთარისთვის არასოდეს ყოფილა მხოლოდ ხატოვანი სიტყვები. მას პიროვნულ თუ სახელმწიფოებრივ დონეზე ბევრი გაუკეთებია აფხაზ-ქართველთა მრავალსაუკუნოვანი ერთობის შენარჩუნებისა და შემდგომი განმტკიცებისათვის. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი წვლილი მიუძღვის მას ზუგდიდში ქართველთა და აფხაზთა მეგობრობის სახლის აშენებასა და საქმიანობის წარმართვაში. მიუხედავად ძმათამკვლელი ომის უმძიმესი შედეგებისა, აფხაზურ საზოგადოებაში დიდია ნდობა მისი, როგორც მოძმე ხალხებს შორის მშვიდობის, ურთიერთგაგებისა და შერიგებისათვის დაუცხრომელი მოღვაწის მიმართ.

ბატონი ოთარი სისხლსავსე, აქტიურ ცხოვრებას ეწევა დღესაც: ის სათავეში უდგას საზოგადოება „ზუგდიდელს“ და მისთვის ჩვეული ენერგიითა და შრომისმოყვარეობით ემსახურება მშობლიური ქალაქისა და რეგიონის წინსვლას, სოციალური ვითარების გაჯანსაღებას.

დიდი ორგანიზატორისა და გამორჩეული ლიდერის საქმეების უკან დგას ოთარ ფაცაციას ასევე დიდი პიროვნება. ბუნებით მომადლებული გულწრფელობა, რაინდული თავმდაბლობა, კაცთმოყვარეობა, პრაგმატიკოსის უტყუარი ალღო, სიახლის გამახვილებული გრძნობა, ქველმოქმედის ხელგაშლილობა და მრავალი სხვა განსაკუთრებულად ღირსეული თვისება არის ის საფანელი, რამაც მიღწეულ საქმეებთან ერთად უდიდესი ავტორიტეტით, გულწრფელი პატივისცემითა და სიყვარულით შემოსა მისი პიროვნება.

გასული საუკუნის 90-იან წლებში, პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის ნგრევასთან ერთად, დაიმსხვრა ამ სისტემის პირობებში ჩამოყალიბებული ფასეულობები, ძირფესვიანად შეიცვალა პიროვნების შეფასების კრიტერიუმები, ერთი სიტყვით, დაიმსხვრნენ ძველი კერპები და ავტორიტეტები... მხოლოდ იშვიათ გამონაკლისებს არ შეხებია ეს ფერისცვალება. მათ რიცხვს ეკუთვნის ბატონი ოთარი, რომლის ავტორიტეტი არათუ არ გაფერმკრთალებულა ძირეულად შეცვლილ ვითარებაში, არამედ კიდევ უფრო გამობრწყინდა მთელი თავისი შინაარსით. საქმე ის არის, რომ მისი ავტორიტეტის შეუვალობა იმთავითვე მარადიულ ღირებულებებს ემყარებოდა, რომელიც ჯიუტად არ ექვემდებარება დროთა ცვლას და დიამეტრალურად განსხვავებულ ეპოქებშიც ინარჩუნებს სიმაღლეს. ბატონ ოთარს თამამად შეუძლია გაიმეოროს: „არ ვსდევ ჟამთა სვლას, მე იგივე ვარ მარად და მარად“.

ღირსეული მოღვაწისა და მამულიშვილის მიერ გაწეული შრომა აღინიშნა არაერთი სახელმწიფო ჯილდოთი:

სხვადასხვა დროს მიღებული აქვს საბჭოთა კავშირის ეპოქის უმაღლესი ჯილდოები – ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენები; დამოუკიდებელი საქართველოს წინაშე დამსახურებისათვის დაჯილდოვდა საქართველოს საპატრიარქოს წმინდა გიორგის სახელობის და ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენებით.

ბატონ ოთარს ცხოვრებამ ბევრ წარმატებასთან და სიხარულთან ერთად არანაკლები ტკივილიც არგუნა, მაგრამ ძნელბედობისგან გატეხილი ის არავის ახსოვს. ის კვლავ მხნედ და ამაყად დგას, როგორც ღრმად ფესვგადგმული ბერმუხა მშობლიურ წიაღში, როგორც დროის წარმავლობაზე გამარჯვების მაუწყებელი სიმბოლო.

მზეგრძელობას და ულევ სიხარულს გისურვებთ, ბატონო ოთარ!

მეგობრების სახელით:

როინ მეტრეველი, ნოდარ ჭითანავა, გონდო ჯიქია, გონელი არახამია, ოთარ ჭითანავა, გივი აბდუშელიშვილი, კახა არდია, ბაკურ გულუა, გურამ გუნავა, ჯემალ კვირტია, ნაპოლეონ მესხია.

ᲛᲖᲘᲡ ᲡᲮᲘᲕᲗᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ

ᲪᲘᲙᲚᲘᲓᲐᲜ „ᲓᲠᲝᲘᲡ ᲘᲔᲠᲝᲒᲚᲘᲤᲔᲑᲘ“

ᲘᲛᲚᲔᲠᲔᲑᲓᲐ ᲐᲜᲖᲝᲠ ᲔᲠᲥᲝᲛᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚ „ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲐᲕᲗᲐᲜ“ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲓᲐᲜᲢᲔᲡ, ᲑᲔᲗᲰᲝᲕᲔᲜᲘᲡ, ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲜᲯᲔᲚᲝᲡ, ᲨᲢᲠᲐᲣᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲢᲘᲢᲐᲜᲗᲐ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲔᲑᲗᲐᲜ.

რატომ გაბედავდა სიმღერას?

იმიტომ, რომ:

მათი შედევრების მსგავსად ქართული ხალხური სიმღერაც უფლის საკუთრებაა.

სიმღერას — მის არსსა და დანიშნულებას — იმთავითვე როგორ აღიქვამდა და:

როგორც სიყვარულის საგალობელს.

და ამიტომაც იყო, რომ:

მგალობელი ჩიტი მტაცებელი ვერ გახდებოდა.

რა ესმოდათ მღერა ყმისაო, — რუსთველი ავთანდილის სიყვარულის საგალობელს იმ ჯადოსნური ძალით რომ აღავსებდა, სმენად მხეცნიც რომ მოვიდოდნენ და წყლით ქვანიცა გამოსხდებოდნენ, ანზორ ერქომაიშვილს ეჭვიც არ შეეპარებოდა, „ვეფხისტყაოსნის“ შემოქმედი უთუოდ ქართულ სიმღერას რომ გულისხმობდა.

„არაბი“ ავთანდილი სწორედაც ქართულად გალობდა.

ეს ის „არაბი“ ავთანდილი, რომელიც — პავლე ინგოროყვას მახვილგონივრული მიგნებით — ქართულად წერდა პოეტურ ანდერძს: მარცხნიდან მარჯვნივ და არა მარჯვნიდან მარცხნივ, ნამდვილი არაბივით.

გეოგრაფიულ რუკაზე საქართველო პატარა ქვეყნად გამოიყურებოდა?

მაგრამ მსოფლიოს მუსიკალური რუკა რომ შექმნილიყო, უთუოდ დიდ ადგილს დაიკავებდა.

არაერთი საგულისხმო მოსაზრება და დაკვირვება გაბნეულიყო ანზორ ერქომაიშვილის მხატვრულ-დოკუმენტურ თუ ესეისტურ თხზულებებში, სიმღერაზეც და საერთოდაც, ცხოვრებისეული სიბრძნის მარცვლები, მწერლური ხელოვნებით მათაც დახვეწილ, აფორისტულ ფორმაში რომ მოაქცევდა...

და თამარ გელოვანი იგუმანებდა, რომ ეს მარჯვე, ღრმააზროვანი ფრაზები გაბმულ ტექსტში არ უნდა ჩაკარგულიყო და ცალკე უნდა გამოკრეფილიყო. კიდეც თვითონვე ითავებდა ამ წამოწყებას და ასე შედგებოდა შინაგანად უაღრესად ტევადი წიგნაკი, „ნაფიქრალები“ რომ უნდა დარქმეოდა (2018, „მერიდიანი“).

წინ წაემძღვარებოდა იოსებ ჭუმბურიძისათვის ნიშანდობლივი მშვენიერი ესეი „თქმა და დაჯერება“, ეპიგრაფად კი ანზორ ერქომაიშვილისავე ის სენტენცია, ილია ჭავჭავაძე უთუოდ გონიერ ანდაზათა რიგში რომ იგულისხმებდა:

— თუ გენიოსი გიწოდეს, ბედნიერებაა, თუ დაიჯერე — უბედურება.

ანზორ ერქომაიშვილის სულიერი სიმაღლისა და თავმდაბლობის კაცი ცხადია, იუმორით გაერიდება ამგვარ შეფასებას მისი პიროვნებისა, ღვაწლისა, მაგრამ ჩვენ ვინ დაგვიშლის, კეისარს მივაგოთ კეისრისა და გვეამაყებოდეს, ერთი დროის ჰაერს რომ ვსუნთქავთ ჩვენ და ბატონი ანზორი.

***

ᲜᲝᲓᲐᲠ ᲐᲜᲓᲦᲣᲚᲐᲫᲘᲡ ვარსკვლავი რომ უნდა გახსნილიყო ოპერის წინ, მანამდე კონცერტი უნდა გამართულიყო სცენაზე, კიდეც დიდებულად რომ წარიმართებოდა. და ისიც გონიერი გადაწყვეტილება აღმოჩნდებოდა, პატარ-პატარა მისალმებებად რომ არ დახურდავდებოდნენ და ერთადერთი სიტყვის წარმოთქმას მიანდობდნენ მიხეილ ქურდიანს, მრავალმხრივი განათლების კაცს და ერთ საუკეთესო ორატორს, თავის გამოსვლას ხალხით გადაჭედილ დარბაზში, ნემსი რომ არ ჩავარდებოდა, ასე რომ დაიწყებდა:

— გამოცდილ ორატორებს ურჩევიათ ჩემთვის: რაც უნდა უამრავი ხალხის წინაშე იდგე, ერთი კაცი გამოარჩიე და იმას ელაპარაკე. სიტყვა აღარ გაგექცევა და აღარ დაგებნევა და ასე მოახერხებ ყველასთან დალაპარაკებასო. და მე წინასწარვე გამოვარჩიე ის ერთი კაცი, რომელსაც უნდა მივმართო და ყველას ასე გელაპარაკოთ. თქვენითაც მიხვდებით, ვისაც ვგულისხმობ, მაგრამ მაინც ვიტყვი, რადგანაც ძალიან მსიამოვნებს ამ გვარ-სახელის წარმოთქმა — ანზორ ერქომაიშვილი.

და დაინგრეოდა დარბაზი ტაშით, ბატონი ანზორი სავარძელში რომ ჩაიკარგებოდა, მაგრამ მაინც მიაგნებდა მიხეილ ქურდიანის მზერა და... მას რომ დაელაპარაკებოდა, ყველა ჩვენგანის გულისთქმასთან გააბამდა ძაფს. და ასე

***

ᲬᲘ�გᲜᲐᲙᲘᲡ სახელწოდებად იოსებ ჭუმბურიძე „შეგონებანს“ რომ შესთავაზებდა, რას დაითანხმებდა, ის კი არა, ლამის გამოცემას სულაც გადაიფიქრებდა.

წარმოსახავდა ნოდარ ანდღულაძის კოლორიტულ, მონუმენტურ პორტრეტს.

მთავარი ამჯერად ისაა ჩემთვის, ანზორ ერქომაიშვილს რომ გაჰყურებდა, როგორც ორიენტირს, და ეს აღავსებდა შთაგონებით და მისი სიტყვაც ნაკადულივით მოედინებოდა.

მიხეილ ქურდიანის ის საქციელი რაღაც გამონაკლისი არა ყოფილა.

ᲩᲕᲔᲜ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲒᲐᲕᲘᲧᲣᲠᲔᲑᲗ ᲐᲜᲖᲝᲠ ᲔᲠᲥᲝᲛᲐᲘᲨᲕᲘᲚᲡ — ᲛᲐᲨᲘᲜᲐᲪ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ ᲖᲘᲡ, ᲓᲐ ᲛᲐᲨᲘᲜᲐᲪ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲐᲮᲚᲝᲛᲐᲮᲚᲝ ᲐᲠᲪ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲐ.

ᲒᲐᲕᲘᲧᲣᲠᲔᲑᲗ ᲨᲘᲜᲐ�გᲐᲜᲘ ᲛᲖᲔᲠᲘᲗ, ᲛᲫᲐᲤᲠᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲬᲐᲓᲘᲚᲘᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲖᲜᲔᲝᲑᲠᲘᲕ ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲘᲠᲘᲡ: ᲘᲡ ᲠᲐᲡ ᲘᲢᲧᲕᲘᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲨᲔᲐᲤᲐᲡᲔᲑᲡ ᲗᲕᲘᲗᲔᲣᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲒᲐᲜᲘᲡ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲡᲐ ᲗᲣ ᲡᲐᲪᲘᲔᲚᲡ. ᲓᲐ ᲕᲪᲓᲘᲚᲝᲑᲗ, ᲐᲛᲐᲖᲔ ᲐᲕᲐᲬᲧᲝᲗ ᲖᲔᲞᲘᲠᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲗᲣ ᲜᲐᲬᲔᲠᲘ, ᲐᲛᲐᲖᲔ ᲒᲐᲕᲛᲐᲠᲗᲝᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ — ᲐᲜᲖᲝᲠ ᲔᲠᲥᲝᲛᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲘᲓᲣᲛᲐᲚᲘ ᲛᲖᲔᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ.

არადა სწორედაც შეგონებანითაა გადავსებული მისი ფურცლები, სიმახვილითაც რომ მოგხიბლავს და სინატიფითაც, თითქოს პოეტურ სტრიქონებს კითხულობდე:

— ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲐ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲨᲘᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲝ.

— ᲓᲔᲓᲐᲨᲕᲘᲚᲣᲠ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲡ ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲡ ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲔᲚᲘ ᲣᲜᲗᲔᲑᲡ.

— ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡᲛᲫᲘᲠᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲖᲔ ᲚᲐᲛᲐᲖᲘᲐ.

— ᲠᲝᲛᲔᲚ ᲫᲕᲔᲚᲜᲐᲨᲘᲪ ᲩᲐᲮᲕᲐᲚ, ᲘᲫᲐᲣᲠ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ „ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ“ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲡ�წᲐᲕᲚᲝ.

— ᲡᲮᲕᲐᲡ ᲠᲝᲛ ᲪᲝᲢᲐ ᲐᲡ�წᲐᲕᲚᲝ, ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲪᲝᲓᲔ.

— ᲗᲣ ᲛᲖᲔᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲖᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲣᲜᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲫᲕᲡ, ᲡᲘᲙᲔᲗᲔᲡ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲔᲑ.

— ᲨᲔᲛᲧᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ ᲛᲖᲘᲡ ᲡᲮᲘᲕᲔᲑᲡ ᲛᲘᲰᲛᲧᲕᲔᲑᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲪᲘᲡᲙᲔᲜ ᲘᲚᲢᲕᲘᲐᲜ.

— ᲡᲘᲛᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲐᲮᲡᲜᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲫᲜᲔᲚᲘ ᲐᲦᲡᲐᲠᲔᲑᲐᲐ.

— ᲕᲘᲓᲠᲔ ᲒᲘᲧᲕᲐᲠᲐ, ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲮᲐᲠ.

— ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲰᲐᲠᲛᲝᲜᲘᲐ ᲑᲔᲗᲰᲝᲕᲔᲜᲘᲡ ᲣᲢᲝᲚᲓᲔᲑᲐ.

— ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲫᲐᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲠᲝ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲩᲔᲠᲓᲔᲡ.

— ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲐᲠᲡᲐᲓ ᲛᲔᲒᲣᲚᲔᲑᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲛᲐᲚᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲫᲐᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲪᲔᲙᲕᲐ „ᲫᲐᲠᲗᲣᲚᲨᲘᲐ“ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲣᲚᲘ.

— ᲕᲘᲜᲪ ᲡᲐᲫᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲔᲨᲘ ᲛᲝᲕᲐ, ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲨᲔᲒᲝᲜᲔᲑᲔᲑᲘ ᲐᲡᲯᲔᲠ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲰᲫᲝᲜᲓᲔᲡ ᲬᲐᲙᲘᲗᲮᲣᲚᲘ.

— ᲡᲪᲔᲜᲘᲡ ᲛᲢᲕᲔᲠᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲧᲚᲐᲰᲝᲡ.

— ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲐ.

ᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲠᲐᲛ ᲛᲘᲐᲩᲜᲘᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲓ:

ᲛᲢᲔᲠᲡ ᲠᲝᲛ ᲛᲝᲧᲕᲠᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲐᲫᲪᲔᲕ.

— ᲤᲝᲢᲝᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲐᲨᲘᲜᲐᲐ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ, ᲗᲣ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲘᲕᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲮᲔᲓᲐᲕᲡ.

— ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘᲐ ᲘᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲑᲐᲕᲨᲕᲣᲠ ᲣᲛᲐᲜᲙᲝᲔᲑᲐᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲡᲐᲙᲨᲘ ᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲡ.

ᲣᲜᲔᲑᲚᲘᲔᲗ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲡ Ი�გᲣᲚᲘᲡᲮᲛᲔᲑᲓᲐ, ᲘᲡᲔᲕᲔ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲐᲡᲕᲔ ᲛᲘᲔᲡᲐᲓᲐᲒᲔᲑᲐ ᲘᲡ ᲤᲐᲠᲐᲖᲐ, ᲫᲐᲚᲓᲐᲣᲢᲐᲜᲔᲑᲚᲐᲓ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲜᲖᲝᲒᲐᲓᲓᲔᲑᲐ ᲙᲘᲓᲔᲪ:

თუ შინაგანად გასხივოსნებული არა ხარ, მზის სხივებთან ვერ იმეგობრებო.

და კიდევ ესეც:

ᲗᲣ ᲒᲣᲚᲨᲘ ᲪᲔᲪᲮᲚᲘ ᲐᲠ ᲒᲘᲜᲗᲘᲐ, ᲓᲘᲓ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲔᲭᲘᲓᲔᲑᲘᲝ.

და ბარემ ეს შეგონებაც გაგვეხსენებინა:

— ᲗᲣ ᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲡ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚ ᲐᲓᲒᲘᲚᲡ ᲐᲠ ᲛᲘᲣᲩᲔᲜ, ᲘᲡᲘᲜᲘ ᲣᲡᲐᲡᲠᲣᲚᲝ ᲡᲘᲕᲠᲪᲔᲨᲘ ᲒᲐᲜᲘᲜᲔᲕᲘᲐᲜ.

ნაფიქრთა ამ წყებაში შეგვხვდება ტრივიალური ფრაზებიც:

— ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲐᲓ ᲐᲢᲐᲠᲝ ᲨᲔᲜᲘ ᲒᲕᲐᲠᲘᲡ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐ — ᲓᲘᲓᲘ ᲢᲕᲘᲠᲗᲘᲐ.

— ᲣᲦᲘᲠᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘᲡ, ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ — ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐ�წᲧᲘᲡᲘᲐ.

— ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲡᲘᲜᲓᲘᲡᲘᲐ, ᲩᲔᲛᲘ ᲡᲘᲜᲓᲘᲡᲘ — ᲩᲔᲛᲘ ᲛᲡᲐᲯᲣᲚᲘ.

— ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲨᲔᲬᲧᲐᲚᲔᲑᲘᲡ, ᲛᲝᲜᲐᲜᲘᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲓᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲐᲩᲜᲘᲐ, ᲛᲔᲢᲐᲓ ᲡᲐᲨᲘᲨᲘ ᲰᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲐ.

— ᲘᲡᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲪᲮᲝᲕᲠᲝ, ᲠᲝᲛ ᲨᲗᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲐᲓᲒᲔ.

— ᲡᲘᲙᲔᲗᲘᲡ ᲫᲛᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲐᲙᲔᲗᲘᲚᲨᲝᲑᲘᲚᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲡᲣᲚᲡ ᲣᲚᲐᲛᲐᲖᲔᲑᲡ.

— ᲑᲝᲠᲝᲢᲔᲑᲐᲡ ᲠᲝᲛ ᲡᲘᲙᲔᲗᲘᲗ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑ, ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲘᲙᲔᲗᲔᲐ.

და კიდევ სხვა ამგვარები, თუმც მათი მნიშვნელობა და განსაკუთრებულობა ისაა, რომ ანზორ ერქომაიშვილი ამ სენტენციებს სხვათა შესაგონებლად კი არ იყენებს, არამედ მისი ზნეობრივი კონსტიტუცია, მისი ცხოვრების წესია ასეთი, ასე ჩაფლულა საქვეყნო საქმეებში და ასე იღვწის იმ რწმენით აღვსილი, რომ:

სიკეთის მთესველი წინაპრებს პირნათელი შეხვდება.

და რომ:

ადამიანი გუთანს ჰგავს: მისი გატანილი კვალი დიდხანს რჩება.

***

ᲗᲣ შინაგანად გასხივოსნებული არა ხარ, მზის სხივებთან ვერ იმეგობრებო...

და ყველგან რომ აღწევენ მზის სხივები, ყველგან აღწევს შინაგანად გასხივოსნებულ პიროვნებათა მზერაც — ჩვენთვის ზნეობრივ საზომადაც, მის ნათელში რომ ცდილობ შეამოწმო შენი ყოველი სიტყვა და საქციელი...

ორიენტირი ორიენტირად და: ჰოი რა ღვთიური ძალითა და შთაგონებით აღვსილა სიყვარულის საგალობელნი, ავთანდილურ სულში გამოტარებულნი, იმ მზერას რომ მოჰყვება, ანზორ ერქომაიშვილის თვალთაგან გამონაშუქს, კაცისა, რომლის ღირსებაც მის სიცოცხლეზე წინ დგას.

ᲐᲛᲒᲕᲐᲠ ᲑᲔᲓᲘᲡᲬᲔᲠᲐᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲡᲐ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲠᲐᲛ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲐᲕᲡ, ᲣᲰᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡᲐᲓ ᲙᲘ ᲐᲚᲑᲐᲗ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲘᲡ, ᲑᲐᲕᲨᲕᲣᲠᲘ ᲣᲛᲐᲜᲙᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲐ ᲝᲓᲜᲐᲕᲐᲓᲐᲪ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲣᲫᲜᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲬᲔᲚᲗᲐ ᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲝᲑᲐᲖᲔ, ᲛᲖᲘᲡ ᲡᲮᲘᲕᲔᲑᲨᲘ ᲐᲛᲝᲕᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲛᲐᲜᲙᲝᲔᲑᲘᲡ...

ᲠᲝᲡᲢᲝᲛ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ

პრეზიდენტ ტრამპის თავისტკივილი

თვითჩამოყალიბებული უძრავი ქონების ინვესტორი, გარიგების ოსტატი, წარმატებული ბიზნესმენი, 80-იან და 90-იან წლებში დონალდ ტრამპს ასეთი სახით წარმოაჩენდნენ.

„ეს რაღაც ძალიან, ძალიან განსაკუთრებული იქნება.“

მაგრამ „ნიუ იორკ თაიმსის“ მიხედვით, 1985-დან 1994 წლამდე, ტრამპის ბიზნესებს 1.2 მილიარდი დოლარის ზარალი ჰქონდათ, ბევრად მეტი, ვიდრე ნებისმიერ სხვა ამერიკელ გადასახადის გადამხდელს, რამაც მას საშუალება მისცა იმ ათი წლიდან რვა წლის განმავლობაში, ფედერალური გადასახადი არ გადაეხადა.

ამერიკის ბოლოდროინდელი ისტორიის განმავლობაში ის ერთადერთი პრეზიდენტია, რომელიც საკუთარი საგადასახადო დეკლარაციების გასაჯაროებაზე უარს აცხადებს.

„ალბათ, მის დეკლარაციებს შეუძლია ჩვენება, რომ ის იმდენად მდიდარი არ არის, როგორც თავს წარმოგვიდგენს. ეს ძირს უთხრის მის მთავარ არგუმენტებს, რომელსაც საპრეზიდენტო კამპანიის დროს იყენებდა“, — ამბობს ეკონომიკის ექსპერტი რუდი მერბანი.

ოპოზიციაში მყოფი დემოკრატები ტრამპის საგადასახადო დეკლარაციებს დიდი ხანია ითხოვენ, რათა ნახონ: უცხოურ ბიზნესებთან გარიგებების დროს, ხომ არ იყო ინტერესთა კონფლიქტი ან საგადასახადო თაღლითობა და ისარგებლა თუ არა მან 2017 წელს გატარებული საგადასახადო რეფორმით.

ტრამპი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარს ამბობს და მზად არის, დავა სასამართლოში გააგრძელოს.

მისი განცხადებით, **„მათ სურთ, იცოდნენ ყველა გარიგების შესახებ, რომელიც ოდესმე მქონია. ვფიქრობ, მალერმა 35 მილიონ დოლარად შეამოწმა ჩემი გადასახადები, ფინანსები — რომელიც, სხვათა შორის დიდებულ მდგომარეობაშია, იცით... დიდებულადაა. მხოლოდ ის გჭირდება, რომ წახვიდე და საბუთები ნახო.“**

გასულ ოთხშაბათს ახალი ბრძოლისთვის მზადება დაიწყო. წარმომადგენელთა პალატის დემოკრატები ტრამპის მთავარი პროკურორის უილიამ ბარის წინააღმდეგ კონგრესისადმი უპატივცემულობის ბრალდების წასაყენებლად ემზადებიან. მიზეზი, 2016 წლის ამერიკულ არჩევნებში რუსეთის სავარაუდო ჩარევის და პრეზიდენტის მხრიდან მართლმსაჯულებისთვის შესაძლო ხელშეშლის საკითხზე რობერტ მალერის ანგარიშის არარედაქტირებული ვერსიის გადაცემაზე უარის თქმაა.

კონგრესმენი ნადლერი: **„ახლა უკვე იქ ვართ, ჩვენ ახლა საკონსტიტუციო კრიზისში ვართ.“**

თეთრმა სახლმა კენჭისყრა საპრეზიდენტო პრივილეგიის გამოყენებით დაბლოკა. ეს არის პრეზიდენტის უფლება, კონგრესის დემოკრატების მიერ გაცემული სავალდებულო მოთხოვნის შემთხვევაშიც კი, გარკვეული ინფორმაციის გასაჯაროება არ დაუშვას. ეს, სავარაუდოდ, ხელისუფლების ორ შტოს შორის კიდევ ერთი გაჭიანურებული იურიდიული ომისკენ წაგვიყვანს.

მიმომხილველი ტომ ბელთი ფიქრობს, რომ — **„ყოველთვის, როდესაც ასეთი რამ ხდება, მთავრობისადმი ნდობა მცირდება. ხალხი ხედავს, რომ მთავრობა შიდა ბრძოლითაა დაკავებული იმის ნაცვლად, რომ ხალხისთვის რამე გააკეთოს. შესაძლოა, ამან გარკვეული შანსები მისცეს სხვა საპრეზიდენტო კანდიდატებს, რომლებსაც შემდეგი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის საკუთარი თავის სხვაგვარად წარმოჩენა სურთ.“**

კონგრესის სავალდებულო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე ტრამპის უარებმა, მისი იმპიჩმენტის მოწოდებები გაამრავლა. წარმომადგენელთა პალატის სპიკერმა ნენსი პელოსიმ პრეზიდენტს ბრალი დასდო, რომ ის დემოკრატებს „აქეზებს“ მისი იმპიჩმენტი დაიწყონ, რათა მან საკუთარი მხარდამჭერების რიგების განმტკიცება შეძლოს.

WWW.AMERIKISKHMA.COM

ყველაზე ნაკლებად ოპტიმისტურები 25-29 წლის ასაკში ვართ

ამერიკელი მეცნიერების ახალი კვლევა რუბრიკაში - გალილეო

ოპტიმიზს რომ დადებითი გავლენა აქვს ჩვენს ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, ეს უამრავი კვლევით არის დადასტურებული. ოპტიმიზმში იგულისხმება ინდივიდის მიდრეკილება, ჰქონდეს ცხოვრებისგან უფრო კარგი შედეგების მოლოდინი. ასეთ ადამიანებს, როგორც წესი, უფრო ჯანმრთელი ფსიქიკა აქვთ, მათი სიცოცხლის ხანგრძლივობაც უფრო დიდია, აქვთ შედარებით კარგი სოციალური ურთიერთობები და პრობლემებთან გამკლავების უკეთესი უნარი.

მაგრამ, რამდენიმე კვლევას თუ არ ჩავთვლით, არც ისე კარგადაა შესწავლილი, თუ როგორ იცვლება ოპტიმისტური განწყობა ასაკთან ერთად დროთა განმავლობაში. ასევე საგულისყუროა, თუ რა გავლენას ახდენს ოპტიმიზმზე სხვადასხვა ასაკში მიღებული კარგი და ცუდი ცხოვრებისეული გამოცდილება.

კალიფორნიის უნივერსიტეტის დეივისის ფილიალის მკვლევარები თავიდანვე ვარაუდობდნენ, რომ ასაკთან ერთად, ადამიანის ოპტიმიზმის ხარისხი იცვლება: ის ხან იკლებს, ხან მატულობს. მეცნიერებმა გადაწყვიტეს, ეს თეორია გადაემოწმებინათ და ოპტიმიზმის ტრაექტორია და ტენდენციები მეცნიერულად შეესწავლათ. ამასთან, იმის გარკვევაც სურდათ, თუ რა როლს თამაშობს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა, მაგალითად, სქესი ან ემიგრაცია.

ძალიან მოკლედ ახალი კვლევის შედეგები ასე შეიძლება შეჯამდეს: ოპტიმიზმი ყველაზე დაბალია 25-დან 29 წლამდე ადამიანებში. შემდეგ ის სტაბილურად იზრდება და პიკს აღწევს 55 წლის ასაკში, როცა ადამიანი ყველაზე ოპტიმისტური ხდება. ამის შემდეგ ოპტიმიზმი ისევ თანდათან იკლებს, თანაც — მნიშვნელოვანი ინდივიდუალური განსხვავებებით.

ქალებს და კაცებს შორის დინამიკაში დიდი სხვაობა არ შეიმჩნევა. თუმცა, ოპტიმიზმის ტრაექტორია განსხვავდება, მაგალითად, ამერიკაში დაბადებულ ამერიკელებს და იმიგრირებულ ამერიკელებს შორის. ამაზე ცოტა ქვევით ვისაუბრებთ.

კვლევა 7 წლის მანძილზე გრძელდებოდა და მასში ათასზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა. ჯგუფისთვის საორიენტაციოდ თავიდან სულ რამდენიმე ტრადიციული, ძალიან მარტივი შეკითხვა იყო შერჩეული, რომელზეც მონაწილეებს კარგი პასუხი უნდა გაეცათ ან უარეყოთ. მათ შორის:

- **გაურკვევლობის დროს, ძირითადად საუკეთესო მოლოდინი მაქვს;**
- **თითქმის არ ხდება ისე, როგორც მე მინდა;**
- **მომავალს ყოველთვის ოპტიმისტურად ვუყურებ;**
- **კარგი რამ იშვიათად მემართება;**

შემდეგ, მონაწილეებს 54 კითხვას უსვამდნენ, რაც მათ სავარაუდო ცხოვრებისეულ გამოცდილებას უკავშირდებოდა. მაგალითად: „ბოლო 3 თვეში უარეს ბინაში გადავედი“, „გასულ წელს ძვირფასი მეგობარი/მეგობრები შევიძინე“, „ბოლო 3 თვეში სამსახური დავკარგე“, „ბოლო წელს ჩემთვის მნიშვნელოვანი განათლება მივიღე“ და ასე შემდეგ.

გასაკვირი არ იყო, რომ ოპტიმიზმი იზრდებოდა იმ ადამიანებში, რომელთაც უახლოეს წარსულში ხელფასი მოუმატეს, უნივერსიტეტი დაამთავრეს, ან რომანტიკულ ურთიერთობებში იმყოფებოდნენ. თუმცა, მეცნიერების გაოცება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ოპტიმისტებში უარყოფითი მოვლენების შემდეგაც კი, გამოკითხულებში ოპტიმიზმი არ მცირდებოდა. თანაც, არათუ არ მცირდებოდა, არამედ მათში ოპტიმიზმი კიდევ უფრო იზრდებოდა.

როგორც უკვე ვთქვით, ქალებს და კაცებს შორის ასაკის მიხედვით ოპტიმიზმის ტრაექტორიაში ნიშანდობლივი განსხვავება არ აღნუსხულა. რაც შეეხება ამერიკაში დაბადებულ და იმიგრანტ ამერიკელებს, აქ კი მნიშვნელოვანი და ძალიან საყურადღებო სხვაობა აღმოაჩინეს.

გაირკვა, რომ იმიგრანტებში ოპტიმიზმი სულ სხვა გრადაციებს გადის. ის 40 წლამდე ოდნავ იკლებს და შემდეგ 71 წლამდე სტაბილურად იზრდება. მაგრამ იმის გამო, რომ კვლევის ფარგლებში გამოკითხული ადამიანების მხოლოდ 14 პროცენტი იყო იმიგრანტი, მკვლევარები მცირე ზომის ჯგუფის გამო აღნიშნავენ, რომ საბოლოო დასკვნების გამოტანა ნაადრევია და ეს მიმართულება შემდგომ შესწავლას საჭიროებს.

ნაშრომი სათაურით „ოპტიმიზმის განვითარება ზრდასრულ ასაკში და მისი კავშირი კარგ და ცუდ ცხოვრებისეულ მოვლენებთან“, 21 მარტს გამოქვეყნდა. კვლევის დეტალების გაცნობა შესაძლებელია გამოცემა „სეიჯის“ სამეცნიერო ჟურნალში Social Psychology and Personality Science.

ნაშრომის წამყვანი ავტორია ტედ შუაბა, კალიფორნიის უნივერსიტეტის დეივისის ფილიალის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის პროფესორი. თანაავტორები არიან: რიჩარდ რობინსი, პრიანკა შანგავი და ვიებკე ბლეიდორნი.

მაია ქვარცხავა

საპრეზიდენტო არჩევნები ლიეტუვაში

ლიეტუვაში საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური შედგება. ლიეტუვის ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინფორმაციით, პირველ ტურში ხმათა 31,13 % ფინანსთა ყოფილმა მინისტრმა ინგრიდა შიმონიტემ მიიღო, ეკონომისტმა გიტანას ნაუსედამ კი 30,95 % მოაგროვა. ორ კვირაში ლიეტუვაში საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური დაინიშნება. არჩევნების პირველ ტურში ამომრჩეველთა აქტივობა 56,45% იყო.

არჩევნებს 500-მდე კაცი შეეწირა

ინდონეზიაში 17 მაისის არჩევნების შემდეგ საარჩევნო კომისიების გარდაცვლილი თანამშრომლების რაოდენობამ 496 მიაღწია. ამის შესახებ მთავრობის მონაცემებზე დაყრდნობით გაზეთი Straits Times-ი იუწყება.

ჯანდაცვის სამინისტრომ 162 ადამიანის გარდაცვალების ფაქტი გადაამოწმა, გარდაცვალების მიზეზებად ინსულტი, გულის შეტევა და მიოკარდის ინფარქტი დასახელდა. ასევე კომისიის თანამშრომლები დაიღუპნენ ასთმის, სეფსისისა და ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად. გარდაცვლილთა უმეტესობა 50-დან 70 წლამდე იყვნენ.

ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტროს გენერალურმა მდივანმა უარყო ოპოზიციის ბრალდება იმის შესახებ, რომ გარდაცვალების შემთხვევათა უმრავლესობა არაბუნებრივი იყო და თაღლითობისთვის იყო საჭირო. ამავდროულად მან აღიარა, რომ ხელისუფლება ასეთ შედეგებს არ ელოდა, რადგან საარჩევნო კომისიის წევრების მოვალეობებში კარგ ჯანმრთელობასაც ითხოვდნენ. იმ ადამიანებს, რომლებსაც რაიმე დაავადება სჭირდათ, 12-საათიანი მუშაობის შემდეგ ავადმყოფობები გაუმწვავდათ. ინდონეზიაში საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები ერთდროულად მიმდინარე წლის 17 აპრილს ჩატარდა. საარჩევნო კომისიებში 7 მილიონამდე ადამიანი მუშაობდა. 23 აპრილს ხელისუფლებამ განაცხადა, რომ გადაღლილობის გამო არჩევნების დღეს 92 ადამიანი გარდაიცვალა, რომელთა შორის იყვნენ კომისიის წევრები და პოლიციელები, რომლებიც საარჩევნო უბნებზე მორიგეობდნენ.

ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲬᲐᲠᲛᲝᲨᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲔ�გᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲢᲐᲜᲐ

ᲮᲕᲐᲜᲭᲙᲐᲠᲐ

(ᲠᲔ�გ. №1; ᲗᲐᲠᲘᲦᲘ: 14.07.2005 Წ.)

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინების დეპარტამენტის უფროსის 2019 წლის 3 მაისის №4678/06 ბრძანების საფუძველზე, შეიცვალა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში – საქპატენტში რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო „ხვანჭკარას“ წარმოების სპეციფიკაცია.

აღნიშნული ინფორმაცია, „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ქვეყნდება საქართველოს სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენსა და ერთ ცენტრალურ გაზეთში. მასალების გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში საქპატენტში წარმოდგენილი შენიშვნები და დამატებითი ინფორმაცია შესასწავლად გადაეგზავნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს. თუ 3 თვის განმავლობაში საქპატენტში არ შემოვა რაიმე ინფორმაცია აღნიშნულ მასალებთან დაკავშირებით, გამოქვეყნებული მონაცემები ღვინის ადგილწარმოშობის დასახელების „ხვანჭკარას“ შესახებ აისახება ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების სახელმწიფო რეესტრში.

ᲡᲞᲔᲪᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲔ-3, ᲛᲔ-4 ᲓᲐ ᲛᲔ-7 ᲞᲣᲜᲥᲢᲔᲑᲘ ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲑᲓᲔᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲗ

3. ᲢᲘ�პᲘ, ᲤᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲘ:

„ხვანჭკარა“ წითელი, ბუნებრივად ნახევრადტკბილი ღვინო.

„ხვანჭკარა“ უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ფერი ღია ლალისფრიდან მუქ ლალისფრამდე;
- არომატი და გემო უზადო, მიკრობიოლოგიურად ჯანსაღი, ჰარმონიული, დახვეწილი, ხავერდოვანი, სასიამოვნო სიტკბოთი, ჯიშისა და ამ ადგილისთვის დამახასიათებელი არომატითა და გემოთი;
- ფაქტობრივი მოცულობითი სპირტშემცველობა არ უნდა იყოს 11 %-ზე ნაკლები;
- დაყვანილი ექსტრაქტის მასის კონცენტრაცია არ უნდა იყოს 22 გ/ლ-ზე ნაკლები;
- შაქრიანობა უნდა იყოს 30-დან 45-მდე გ/ლ;
- ტიტრული მჟავიანობა არ უნდა იყოს 5 გ/ლ-ზე ნაკლები;
- სხვა მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

4. ხვანჭკარას მიკროზონა მდებარეობს რაჭაში, ამბროლაურის ადმინისტრაციულ რაიონში, ლეჩხუმის ქედის სამხრეთ დაქანებებზე – მდ. რიონის მარჯვენა სანაპიროზე და რაჭის ქედის ჩრდილო დაქანებაზე – მდ. რიონის მარცხენა სანაპიროზე, ჩრდილოეთ განედის 42⁰30’ და აღმოსავლეთი გრძედის 43⁰00’ კოორდინატებს შორის არსებულ ფართობებზე. ხვანჭკარას მიკროზონა მოიცავს აგრეთვე ლეჩხუმის მუნიციპალიტეტის სამხრეთ - აღმოსავლეთ ნაწილსაც.

ხვანჭკარას მიკროზონა მოიცავს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებს: ხვანჭკარა, წესი, კვაცხუთი, სადმელი, ღვიარა, ბოსტანა, დიდი ჩორჯო, პატარა ჩორჯო, მეორე ტოლა, პირველი ტოლა, ჭრებალო, ჭყვიში, ჟოშხა, ქვიშარი, ღვარდია, ბარეული, ღადიში, ბაჯი, ბუგეული, საკეცია, ჯვარისა, იწა, კრიხი, ახალსოფელი, გორი, ხიმში, აბანოეთი, ძირაგეული. აგრეთვე ცაგერის მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებს: ალპანა და ორბელი.

7. ყურძნის სიმწიფე, რთველი, ტრანსპორტირება:

- „ხვანჭკარა“ მზადდება მხოლოდ მწიფე ყურძნისაგან. ყურძნის შაქრიანობა კრეფის დროს უნდა იყოს არანაკლებ 23% .
- ყურძნის ტრანსპორტირება დასაშვებია მხოლოდ ხის ან პლასტმასის ყუთებით, რომელთა ტევადობა არ აღემატება 40 კგ-ს.
- დაუშვებელია ყურძნის ტრანსპორტირებისას პოლიეთილენის პარკების და/ან ტომრების გამოყენება.
- ტრანსპორტირებისას ყურძენი მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული შესაძლო დაბინძურებისაგან.

ᲐᲛᲝᲦᲔᲑᲣᲚ ᲘᲥᲜᲐᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲔ-11 ᲛᲣᲮᲚᲘ.

ᲛᲐᲠᲘᲜᲔ ᲚᲐᲪᲐᲑᲘᲫᲔ,
ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲛᲔᲓᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ Ს�პᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘ
3300Ქ. ᲛᲪᲮᲔᲗᲐ, ᲐᲜᲢᲘᲝᲥᲘᲘᲡ Ქ.№5
ᲢᲔᲚ.:(+995 32) 2252533 *145; ᲛᲝᲑ.: (+995 599) 728801
ᲔᲚ-ᲤᲝᲡᲢᲐ: marika.latsabidze@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲙᲐᲜᲘᲡ 72-Ე ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲘᲜᲝᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲖᲔ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲙᲘᲜᲝᲪᲔᲜᲢᲠᲘ ᲙᲐᲜᲘᲡ ᲙᲘᲜᲝᲑᲐᲖᲠᲝᲑᲐᲖᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲕᲘᲚᲘᲝᲜᲘᲗ ᲬᲔᲚᲡ ᲛᲔᲗᲝᲠᲛᲔᲢᲔᲓ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲢᲔᲜᲓᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲙᲘᲜᲝᲪᲔᲜᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲡᲐᲐ�გᲔᲜᲢᲝ „ᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲐᲓ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲓᲜᲔᲜ.

პავილიონში ინდუსტრიული კუთხით იმუშავებენ ეროვნული კინოცენტრის საერთაშორისო დეპარტამენტის უფროსი – **დავით ვაშაძე,** ევრიმაჟში საქართველოს წარმომადგენელი – **თამარ ტატიშვილი** და Creative Europe-ს მედია პროგრამის მენეჯერი – **ლევან ლომჯარია.**

წელს კანის კინოფესტივალზე 55 წლის შემდეგ ბრუნდება ელდარ შენგელაიას და თამაზ მელიავას ფილმი „თეთრი ქარავანი“, რომელიც ფესტივალის საკონკურსო პროგრამაში 1964 წელს იყო წარმოდგენილი. „თეთრი ქარავანი“ მილოშ ფორმანის, ოლივერ სტოუნის და სხვა ლეგენდარული რეჟისორების ფილმებთან ერთად იქნება ნაჩვენები.

„თეთრი ქარავანი“ საქართველოს რუსეთის ფილმსაცავ გოსფილმოფონდიდან ქართული კინომემკვიდრეობის სამშობლოში დაბრუნების ისტორიული პროექტის ფარგლებში დაუბრუნდა, რომელსაც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და ეროვნული კინოცენტრი ერთობლივად ახორციელებენ.

კანის კინოფესტივალზე გაგზავნამდე ეროვნულმა არქივმა ფილმის კინოფირი 4K გარჩევადობის კინოსკანერზე ციფრულ მატარებელზე გადაიტანა. ამავდროულად გაკეთდა მისი ფერის, გამოსახულებისა და ხმის კორექცია.

„თეთრი ქარავანის“ პრემიერას კანში რეჟისორი ელდარ შენგელაია, ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელთან – იმედა კახიანთან ერთად დაესწრება.

წარმოშობით ქართველი, შვედი რეჟისორის ლევან აკინის სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის „და ჩვენ ვიცეკვეთ“ მსოფლიო პრემიერა.

ფილმს საკონკურსო სექციაში Director’s Fortnight აჩვენებენ. „და ჩვენ ვიცეკვეთ“ ქართული კომპანიის Takes Film და შვედური კომპანიის French Quarter Film კოპროდუქციაა.

ფილმი ახალგაზრდა მოცეკვავის – მერაბის ცხოვრების შესახებ გვიყვება, რომელიც რადიკალურად იცვლება, როდესაც მას ამბიციური მეტოქე შეუყვარდება.

კანის კინოფესტივალის რეზიდენციის პროგრამაში Cinefondation მისი ახალი სრულმეტრაჟიანი ფილმის პროექტით „პანოპტიკონი“ მონაწილეობს ახალგაზრდა რეჟისორი გიორგი სიხარულიძე.

„პანოპტიკონის“ წარდგენა Grey d’Albion Beachze-ზე (CNC Beach) 16 მაისს გაიმართება, რის შემდეგაც გიორგი სიხარულიძე პროექტზე მუშაობას ტორინო სკრიპტ ლაბ-ზე განაგრძობს.

Producers Network ქართველ პროდიუსერს – ლადო ჩიხრაძეს უმასპინძლებს სრულმეტრაჟიანი ფილმის პროექტით „ქორწილი ჩემს ქუჩაზე“ (რეჟისორი შოთა გამისონია). პროექტზე მუშაობა 15-დან 20 მაისამდე გაგრძელდება, რის ფარგლებშიც უცხოელ კოლეგებთან არაერთი შეხვედრა გაიმართება.

მნიშვნელოვანი შეხვედრებია დაგეგმილი საქართველოს სტენდზეც – სანდენსის, ტოკიოს, ლოკარნოს, ვარშავის, კარლოვივარის და ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალების წარმომადგენლებთან. პარალელურად, აქტიურად მოხდება საქართველოს, როგორც გადასაღები ქვეყნის და პროგრამის „გადაიღე საქართველოში“ პოპულარიზაცია.

19 მაისს კანის კინოფესტივალის სტუმრებისთვის ტრადიციულად გაიმართება ქართული წვეულება. მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კინომოვლენა – კანის საერთაშორისო კინოფესტივალი, საზეიმოდ დღეს გაიხსნება და 25 მაისამდე გაგრძელდება.



ᲕᲔᲜᲔᲪᲘᲘᲡ ᲑᲘᲔᲜᲐᲚᲔᲖᲔ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲞᲐᲕᲘᲚᲘᲝᲜᲡ ᲐᲜᲜᲐ Კ.Ე. ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ

ᲕᲔᲜᲔᲪᲘᲘᲡ 58-Ე ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲑᲘᲔᲜᲐᲚᲔᲖᲔ, რომელიც ოფიციალურად 11 მაისს გაიხსნა, ქართულ პავილიონს ნიუ-იორკსა და ბერლინში მოღვაწე ქართველი ხელოვანი – ანნა კ.ე. თიბისი სტატუსის მხარდაჭერით წარმოადგენს. პროექტზე – **„Rearmirrorview, Simulation is Simulation, is Simulation, is Simulation...“** ავტორმა კურატორ მარგო ნორტონთან ერთად იმუშავა. პროექტი ბიენალეზე გალერეა „სიმონ სუბალისა“ და **Project Artbeat**-ის ორგანიზატორობით წარდგა.

„Rearmirrorview, Simulation is Simulation, is Simulation, is Simulation...“-ის სტრუქტურის ზედაპირზე პოლირებული რკინის განგაკეთებული, ონკანების მსგავსი სკულპტურული ობიექტები უსისტემოდაა განლაგებული, რომლებშიც წყალი განუწყვეტლივ ცირკულირებს. ანნა კ.ე. ამ ელემენტებით ადამიანის სიცოცხლისთვის აუცილებელ სუბსტანციას უსვამს ხაზს – წყალი მუდმივობას, განწმენდასა და ენერგიას გულისხმობს. ვერცხლისფერი ონკანების იეროგლიფური ფორმები ქართული ანბანის – ასომთავრულის პროტოტიპებია. ვენეციის ბიენალეს ისტორია მე-19 საუკუნის ბოლო ათწლეულიდან იღებს სათავეს და 1895 წელს ქალაქ ვენეციის პირველი საერთაშორისო გამოფენის ორგანიზებას უკავშირდება, რომელიც საგანგებოდ ბიენალესთვის აგებულ პალაცო **dell’Espisizion**-ში გაიხსნა და 224000 ვიზიტორს უმასპინძლა.

◎ წყალბურთი

აშკარა უპირატესობით

ხარკოვში სამ დღეს გრძელდებოდა ახალგაზრდა წყალბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი - ოლიმპიური თამაშების ორგზის გამარჯვებულ, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ ალექსეი ბარკალოვის მემორიალი, რომელშიც ოთხი ქვეყნის წარმომადგენლები — უკრაინის, ლიეტუვას, აზერბაიჯანის 17-წლამდელთა და საქართველოს 15-წლამდელთა (გიორგი ჩაგელიშვილი, გიორგი კოზაშვილი, გურამ გოცირიძე, არჩილ ბაგაშვილი, გუგა გელაშვილი, საბა ტყეშელაშვილი, ბესარიონ ახვლედიანი, სანდრო ვასაძე, დავით გორგოძე, გიორგი კირიაკიდი, ლუკა ჩიქოვანი, ალექსანდრე მიქაუტაძე, ნიკოლოზ ტყეშელაშვილი, ანდრია ცქიტიშვილი, **მწვრთნელები** — ნოდარ ჩხარტიშვილი, ოთარ ქოიავა, **მსაჯი** — კონსტანტინე ნადირაძე) ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ. ჩვენმა ბიჭებმა ზედიზედ დაამარცხეს აზერბაიჯანი — 21:1, ლიეტუვა — 14:4, უკრაინა — 13:6 და მთავარი პრიზი დაიმსახურეს. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: 2. უკრაინა, 3. ლიეტუვა, 4. აზერბაიჯანი.

სანამ უმცროსი ჯვაროსნები უკრაინაში ასპარეზობდნენ, ევროპის საწყლოსნო სახეობათა ფედერაციამ წილისყრა ჩაატარა იმ ახალგაზრდული გუნდებისთვის, რომლებიც წლეულს კონტინენტის პირველობის ფინალურ ეტაპზე მოსინჯავენ ძალებს.

17-წლამდელ წყალბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის დასკვნით ეტაპს 11-18 აგვისტოს თბილისის ოლიმპიური საცურაო აუზი უმასპინძლებს. შეჯიბრებაში მედლებისთვის 16 გუნდი იბრძოლებს.

A ჯგუფი. რუსეთი, იტალია, თურქეთი, მალტა;

B ჯგუფი. მონტენეგრო, საქართველო, საბერძნეთი, რუმინეთი;

C ჯგუფი. უნგრეთი, სერბეთი, სლოვაკეთი, ჰოლანდია;

D ჯგუფი: ესპანეთი, ხორვატეთი, გერმანია, საფრანგეთი.

მსგავსი ტურნირი 15-წლამდელთათვის, ევროპის საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის გადაწყვეტილებით, წლეულს პირველად გაიმართება. 16 საუკეთესო გუნდისთვის დასკვნითი რაუნდი 21-28 ივლისს ბულგარულ ბურგასში ჩატარდება.

A ჯგუფი. უნგრეთი, ხორვატეთი, სლოვაკეთი, რუმინეთი;

B ჯგუფი. ესპანეთი, საბერძნეთი, თურქეთი, ბულგარეთი;

C ჯგუფი. იტალია, საქართველო, ჰოლანდია, რუსეთი;

D ჯგუფი. სერბეთი, მონტენეგრო, სლოვენია, ბელარუსი.

ლაშა დიდია

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

რეგულარული სეზონის გამარჯვებული „ბათუმი“ მესამედ გახდა საქართველოს ჩემპიონი.

ზღვისპირელებმა ღირსეულად გაამართლეს ფავორიტის სტატუსი და საკუთარ სტადიონზე გამართული დიდი 10-ის ფინალური შეხვედრა 36:11 მოუგეს რუსთავის „ხარებს“, რომელიც ორი წლის წინათ პირველ ლიგაში თამაშობდა.

მასპინძელთაგან 2 ლელო ანზორ სიჭინავამ მიითვალა, თითო-თითო კი — ზურაბ ერისთავმა და ნიკა ნინიძემ, რასაც სტაჟიანმა ბომბარდირმა მამუკა ნინიძემ 2 გარდასახვა და 4 საჯარიმო დაუმატა. ქვემოქართლელთაგან პრესტიჟის ლელოს ავტორ ლექსო მელიქიშვილს კობა ბუჯიაშვილმა მხოლოდ ორი საჯარიმო მიაშველა.

აღსანიშნავია, რომ 12-წლიანი პაუზის შემდეგ სატიტულო ბრძოლას პირველად გაუძღვა ქართველი მსაჯი ნიკა ამაშუკელი.

აქვე გაუწყებთ, რომ გასულ უქმეებზე ოვალური ბურთის ქართველმა ლეგიონერებმა საერთაშრისო სარბიელზეც ისახელეს თავი, როცა დავით ზირაქიშვილის, ბექა კაკაბაძისა და ვიქტორ კოლელიშვილის ფრანგულმა კლუბმა „კლერმონმა“ თანამემამულეთა „ლა როშელის“ ძლევით — 36:16 ჩელენჯ კაპის გათამაშება მოიგო.

ფინალურ მატჩს ნიუკასლმა უმასპინძლა. დავძენთ, რომ ჩემპიონთა თასი მესამედ მოიგო ინგლისურმა „სარასენზმა“.

კობა კობახიძე

◎ ჩოგბურთი

რომში დაიწყო ჩოგბურთელ ქალ-ვაჟთა მასტერზი (საპრიზო ფონდი 5.2 მილიონი დოლარი). შეჯიბრების სტარტზე ნიკოლოზ ბასილაშვილმა უნგ-

ბასილაშვილის რევანში

რელი მარტონ ფუჩოვიჩი ორ სეტში დაამარცხა — 6:1 7:6 და რამდენიმე კვირის წინათ მონაკოში წაგებული მატჩისთვის რევანში აიღო, თან უხერხულ მეტოქესთან ჩამორჩენა შეამცირა — 2:4.

პორტუგალიურ ობიდოშში კი დამთავრდა ჩოგბურთელ ქალთა 25.000-იანი საერთაშორისო ტურნირი, რომლის წყვილთა პაექრობაში წარმატებით იასპარეზა თბილისელმა სოფიო შაფათავამ — ბრიტანელ ემილი ვებლი-სმითთან ერთად მან მთავარი პრიზი მოიპოვა. სოფიომ და ემილიმ, რომლებიც ობიდოშში მეორე ნომრად იყვნენ განთესილი, მეოთხედფინალში იოანა კასპერსა (რუმინეთი) და ეკატერინა შალიმოვას (რუსეთი) მოუგეს — 6:4, 6:0. მერე ანასტასია კულიკოვა (ფინეთი) და ლუსი ვაგნერი (საფრანგეთი) დაამარცხეს — 6:3, 6:1, გადამწყვეტ ორთაბრძოლაში მარტინა კოლმენია (იტალია) და მარია ფერნანდა ჰერაზო გონსალესი (კოლუმბია) დაჯაბნეს (6:3, 6:0) და პირველი ადგილი დაიკავეს.

გივი გაგუა

◎ ძიუდო

სრული თაიგული

ბაქოში დამთავრდა ძიუდოისტთა დიდი სლემის ტურნირი, რომელშიც ქართველმა ფალავნებმა სამივე სინჯის თითო მედალი მოიპოვეს. მძიმე წონაში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ახალგაზრდა ფალავანი გელა ზაალიშვილი, რომელმაც ყველა მეტოქეს დამაჯერებლად სძლია: სტარტზე მან გამოცდილ ჰოლანდიელ როი მეიერს იპონით აჯობა, ხოლო შემდეგ მის გზას აზერბაიჯანელი რუსტამ კოსტოევი გაუყენა. ნახევარფინალში გელამ მასზე ბევრად მძიმე რუს ანტონ ხრიბოკოვს მოუგო ორი ვაზარით, გადამწყვეტ პაექრობაში კი რუსი რუსლან შახბაზოვი დაჯაბნა იპონით და კარიერაში ასეთი მაღალი რანგის ტურნირზე ოქროს მედალი პირველად დაიმსახურა.

60 კილოგრამ წონით კატეგორიაში თემურ ნოზაძემ პირველ წრეში ისრაელის წამორმადგენელი დანიელ ბენ დავიდი 64 წამში დაამარცხა იპონით, მერე ყაზახი მაგჟან შამშადინი ჩამოიშორა გზიდან, მესამე წრეში რუსეთის სახელით მოასპარეზე იაგო აბულაძეს მოუგო წმინდად წუთსა და 25 წამში, ნახევარფინალში მონღოლი ამარტუვშინ დაშდავაა შეეწირა ქართველის ფანდებს 2 წუთსა და 41 წამში, გადამწყვეტ ორთაბრძოლაში კი ნოზაძე თავად დამარცხდა იპონით და მეორე ადგილს დასჯერდა.

საქართველოს დელეგაციას ბრინჯაოს მედალი 81 კილოში ტატო გრიგალაშვილმა მოუტანა: ჩვენებურმა ზედიზედ სძლია რუმინელ ვლად ვისანის, ტურნირზე პირველ ნომრად განთესილ ჰოლანდიელ ფრენკ დე ვიტს, მასპინძელ მურად ფატიევს, მეოთხედფინალი გამოცდილ ბულგარელ ივაილო ივანოვთან წააგო, ხოლო ბრინჯაოსთვის პაექრობაში ბერძენი ალექსიოს ნტანაციდისი დაჯაბნა და მესამე ადგილი დაიკავა.

ლექსო ცინცაძე

◎ სუმო

ორიდან ორი!

ნაცუ ბაშოს მეორე საშეჯიბრო დღეს მორიგი გამარჯვება მოიპოვა ლევან გორგაძემ. სეკივაკე ტოჩინოშინის მეტოქე მეორე მაეგაშირა დაიეშო იყო, რომლის დამარცხებაც ქართველ სუმოისტს არ გასჭირვებია.

ტოჩიმ მასპინძელს დამაჯერებლად სძლია — შეტაკებისთანავე მოახერხა მავაშში ხელის ჩაჭიდება და დოჰიოს კუთხესთან მიიმწყდია. ჩვენებურმა 25 წლის აზიელს ცურიდაშის ილეთით აჯობა.

ურთიერთშეხვედრებში ეს ტოჩისა და დაიეშოს მე-7 დაპირისპირება გახლდათ, რომელთაგანაც ლევანს სრული უპირატესობა აქვს — 6 მოგება 1 მარცხის წილ.

ამრიგად, წლის მესამე სუპერტურნირზე ტოჩინოშინს ორიდან ორი გამარჯვება აქვს და კარგ კონდიციებშია. ქართველს დადებით ბალანსამდე 6 მოგება აშორებს, თუმცა, ოძეკის ტიტულის დასაბრუნებლად დარჩენილი 13 ორთაბრძოლიდან მინიმუმ 8 გამარჯვების მოპოვება მართებს. შეგახსენებთ, რომ სტარტზე მან ჩიოტაირიუს სძლია.

დღეს ტოჩი მე-4 მაეგაშირა ოკინოუმთან მოსინჯავს ძალებს, რომელთანაც ურთიერთშეხვედრებში 7 მოგება და 5 მარცხი აქვს. ამ ბაშოზე ქართველი სუმოისტის დღევანდელმა მეტოქემ ორივე ბრძოლა წააგო.

ტოჩინოშინისგან განსხვავებით, თავისი შეხვედრა დათმო თეიმურაზ ჯუღელმა. გაგამარუს შიკონათი ცნობილი ქართველი სუმოისტი ჯურიოს მერვე ნომერ კიოკუტაისეის შეხვდა და მისი დამარცხება ვერ შეძლო.

გაგამარუს მიმდინარე ბაშოზე 1 მოგების საპირისპიროდ 1 მარცხი აქვს, მისი მომდევნო მეტოქე კი ჩიონოუმი იქნება.

გიორგი შოთაძე

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ“

ᲢᲝᲙᲘᲝᲨᲘ, საგამოფენო ცენტრში „Terrada Warehouse“ გამოფენა „საქართველო ღვინის სამშობლო“ დასრულდა. როგორც „კომერსანტს“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან აცნობეს, გამოფენამ, რომელიც ამავე სახელწოდების პროექტის ფარგლებში იაპონიის დედაქალაქში ორი თვე მიმდინარეობდა, ათასობით იაპონელ დამთვალიერებელს უმასპინძლა.

გამოფენის „საქართველო ღვინის სამშობლო“ დახურვა საზეიმო მიღებით აღინიშნა.

„ოთხწლიანი მუშაობის შედეგად, კვლევამ დაადასტურა, რომ ღვინის სამშობლო სწორედ საქართველოა და რომ სწორედ ჩვენ ვართ ის ქვეყანა, სადაც ვაზი პირველად მოაშინაურეს. საერთაშორისო დონეზე ღვინის სამშობლოდ აღიარებამ, მევენახეობა-მეღვინეობის 8000-წლიანმა უწყვეტმა ისტორიამ საქართველოსადმი ინტერესი მნიშვნელოვნად გაზარდა. იაპონელები ტრადიციებს განსაკუთრებულ პატივს სცემენ; შესაბამისად, გამოფენის ფარგლებში წარმოდგენილმა უნიკალურმა არტეფაქტებმა და ყველაზე დიდი ხნის ისტორიის ქართულმა ღვინომ განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი პროექტი საკუთარ მიზანს — მოახდინოს ქართული ღვინის პოპულარიზაცია და სულ უფრო მეტად მზარდი გახდეს მასზე მოთხოვნა მსოფლიოს მნიშვნელოვან ბაზრებზე — აღწევს“, — აღნიშნა ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ ლევან მეხუზლამ გამოფენის მნიშვნელობის შეფასებისას.

გამოფენის დახურვისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში ვახშამი ქართული ტრადიციით გაიმართა. ქართულ სუფრას პირველმა ქართველმა ოძეკმა, ტოჩინოშინმა უხელმძღვანელა. სტუმრებმა თამადობის ინსტიტუტის ისტორიაზე და მის მნიშვნელობაზე მიიღეს ინფორმაცია. საზეიმო მიღებაზე ქართული მრავალხმიანი სიმღერის რამდენიმე გამორჩეული ნიმუში იაპონელმა მომღერლებმა შეასრულეს.

ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის ლევან მეხუზლას განცხადებით, პროექტის „საქართველო ღვინის სამშობლო“ ფარგლებში დაგეგმილია საქართველოს სხვა სტრატეგიულ ბაზრებზეც განხორციელდეს მსგავსი ექსპოზიციები.

აღსანიშნავია, რომ ტოკიოში პროექტი მსოფლიოში უმსხვილესი კომპანიის Sony music communication და კომპანია TOPPAN-ის პარტნიორობით განხორციელდა.

ᲡᲣᲚᲗᲐᲗᲐᲜᲐ

საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატალოგთა ასოციაცია, აკად. კ. ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, უდროოდ გარდაიცვალა

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ (ᲕᲐᲢᲝ) ᲨᲐᲕᲓᲘᲐ

და თანაგრძნობას უცხადებენ კლინიკის ღვაწლმოსილ, უსათნოეს თანამშრომელს, ქალბატონ მანანა ლომიძეს და მის ოჯახს თავსდატეხილი მოულოდნელი უბედურების გამო.

პალიკო, ნიკოლოზ კინტრაიები ოჯახებით თანაუგრძნობენ ქალბატონ მანანა ლომიძეს და მის ოჯახს შვილის

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ (ᲕᲐᲢᲝ) ᲨᲐᲕᲓᲘᲐᲡ

გარდაცვალების გამო.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტის თანამშრომლები თანაუგრძნობენ პროფესორ ნოდარ ლომიძეს დისშვილის

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ (ᲕᲐᲢᲝ) ᲨᲐᲕᲓᲘᲐᲡ

გარდაცვალების გამო.

საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატალოგთა ასოციაცია, აკად. კ. ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ სამეანო სამსახურის უფროსს, ქალბატონ შორენა კიკვაძეს გარდაეცვალა მამა, ღირსების ორდენის კავალერი, საქართველოს დამსახურებული პედაგოგი

ᲝᲗᲐᲠ ᲙᲘᲙᲕᲐᲫᲔ

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტის ზუგდიდის ფილიალის კურსდამთავრებულები და უახლოესი მეგობრები ღრმა მწუხარებით იუწყება უსაყვარლესი მეგობრის

ᲯᲣᲛᲑᲔᲠ ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠᲘᲡ ᲫᲔ ᲑᲐᲠᲥᲐᲘᲐᲡ

გარდაცვალებას და დიდ მწუხარებაში თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ᲛᲐᲚᲮᲐᲖ ᲛᲐᲩᲐᲚᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲡᲐᲑᲣᲗᲔᲑᲘ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲐ!

ᲞᲐᲜᲙᲘᲡᲘᲡ სპეცოპერაციის დროს მოკლული 19 წლის თემირლან მაჩალიკაშვილის მამამ მალხაზ მაჩალიკაშვილმა საფულე დაკარგა, რომელშიც ფულთან ერთად, საბუთებიც ჰქონდა. „მეგობრებო, „თბილისი გალერიაში“ დავკარგე საფულე, საბუთებთან ერთად თანხაც. თუ ვინმემ ნახა, გთხოვთ, დამიბრუნოთ!“ — წერს მალხაზ მაჩალიკაშვილი სოციალურ ქსელში.

აქვე, შეგახსენებთ, რომ მალხაზ მაჩალიკაშვილი, სუს-ის მიერ მის წინააღმდეგ გამოქვეყნებული ფარული ჩანაწერების და 7-საათიანი დაკითხვის მიუხედავად, რუსთაველის გამზირზე საპროტესტო აქციას აგრძელებს — ის კარავში რჩება.

ᲒᲐᲚᲘᲡ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲗ ᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲠᲐᲤᲐᲨᲘ „ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲡ“ ᲣᲬᲔᲠᲔᲜ

ᲒᲐᲚᲘᲡ ოკუპირებული რაიონის მცხოვრებთ ეროვნების გრაფაში „მეგრელს“ უწერენ. აფხაზური მედიის ცნობით, რობერტ გაწერელიას აფხაზურ პასპორტში, ეროვნების გრაფაში „მეგრელი“ ჩაუწერეს.

როგორც გაწერელია აცხადებს, მას აქამდეც ჰქონდა განახლებული აფხაზური პასპორტი, სადაც ეროვნებად „ქართველი“ ეწერა, თუმცა, „საპასპორტო განყოფილებას ისტორიული სამართლიანობის აღდგენის თხოვნით“ თავად მიმართა.

„როდესაც ეს პასპორტი მივიღე, არა მხოლოდ ჩემმა, არამედ ჩემი წინაპრების სულებმაც გაიხარეს. ისინი ოდითგანვე ოცნებობდნენ, მეგრელებად დაწერილიყვნენ“, — აცხადებს რობერტ გაწერელია.

◎ ᲬᲘᲒᲜᲘ

ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲗᲐ ᲡᲘᲦᲠᲛᲔᲔᲑᲨᲘ ᲬᲕᲓᲝᲛᲘᲗ

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ მწერალი, პროფესორი ᲡᲝᲡᲝ ᲡᲘᲒᲣᲐ, სახელმწიფო და დავით აღმაშენებლის პრემიების ლაურეატი, არაერთი მეტად საყურადღებო კრებულის, მონოგრაფიის, რომანისა თუ კრიტიკულ—ესეისტური ტექსტების ავტორია. მისი კვლევის სფეროებია ქართული ლიტერატურა, ჟურნალისტიკა, მოდერნიზმი და ავანგარდიზმი, შემოქმედებითი ფსიქოლოგია და კულტუროლოგია.



მკვლევარს 30-მდე სქელი ნაშრომი აქვს გამოცემული ქართულ და რუსულ ენებზე. მათთვის მარტო თვალის გადავლებაც კი სიამისა და პატრიოტიზმის გრძნობის მომგვრელია.

კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეძღვნება ფუნდამენტური სამტომიანი მონოგრაფია „მარტვილი და ალამდარი“, რომელიც მკითხველმა ფრიად შეიყვარა, ხოლო მკვლევარებმა სამაგიდო წიგნად გაიხადეს; ვერც ერთი სპეციალისტი გვერდს ვერ აუვლის სოსო სიგუას ნაშრომებს ძველ ქართულ ლიტერატურაში, ამავე დროს, მისი კალამი ყინულმჭრელივით თამამად მიიწევს წინ სრულიად ახალი არქტიკული სივრცეების ასაღებად. კერძოდ, მან გამოსცა სამი მონოგრაფია ლიტერატურის უახლოეს პერიოდსა და თანამედროვე მწერლობის მიმართულებებზე. ესენია: „მოდერნიზმი“, „ავანგარდიზმი ქართულ ლიტერატურაში“, „მხატვრული აზროვნება: გენეზისი და სტრუქტურა“. ამ ნაშრომებს ახასიათებთ შემოქმედებითი ფსიქოლოგიის სიღრმეებში წვდომა, სამწერლობო სიტყვათქმნადობის არსის ლაბირინთების განათება, შემოქმედებითი პროცესის შრეთა ჰორიზონტალურ-ვერტიკალური კვლევა. ამავე დროს, აქ მეცნიერულ ღრმა დაკვირვებებს თავს დაჰგურგურებს ავტორის ლაღი ქართული, ნაჭდი ფრაზა და ესეისტური სიმსუბუქე. ამიტომაც თუ არის, რომ, გარდა მეცნიერებისა, ამ ნაშრომებს ლექსივით კითხულობენ უბრალო მკითხველები, მწერლები, ხელოვნების წარმომადგენლები. ისიც სათქმელია, რომ ეგ სამი მონოგრაფია მართლაც სახელმძღვანელო წიგნებად უნდა გაიხადონ მწერლებმა, ჟურნალისტებმა, შემოქმედების სფეროში მომუშავე ადამიანებმა.

საგულისყურია, რომ მკვლევარმა შექმნა ერთგვარ ბესტსელერად გამხდარი წიგნი ზვიად გამსახურდიას ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. ეს გახლავთ მეტად საგულისყურო სათაურის მქონე მონოგრაფიული ნარკვევი „დევნილი ტრიუმფატორი“. აღსანიშნავია ერთი საგულისხმიერო ფაქტი: სოციალურ ქსელში ამ ნაშრომს 500 ათასი კაცი გამოეხმაურა. და ეგ განაპირობა არა ოდენ ზვიად გამსახურდიას სახელმა, არამედ აგრეთვე თვით ამ წიგნი-შედევრის სტრუქტურამ და სტილმა, სადაც ღრმა სამეცნიერო დაკვირვებებს, მიგნებებს, დასკვნებსა და მაღალნიჭიერ განზოგადებებს ბუნებრივად ენაცვლება აბრეშუმივით მოქნილი და მტკიცე ფრაზები, შედარებები, მახვილი ეპითეტები. მაშასადამე, ხელთა გვაქვს ნაშრომი, რომელსაც, ამ ბოლო დროს სიტყვის გამოცდილმა ოსტატმა გაგვახარა შორსგამწვდენი ფილოლოგიური და კულტუროლოგიური ხედვით. ჯერ ერთი, შექმნა ოთხტომიანი „ქართული კულტურის ისტორია“. მასში შედის 300-350-გვერდიანი ტომეულები: 1. „არქაულ-წარმართული ქართველური კულტურა“; 2. „ქრისტიანულ-ბიზანტიური პერიოდი“; 3. „რენესანსი და ანტირენესანსი“; 4. „სინკრეტულ-ევროპული კულტურა“. ამავე დროს მან დაწერა სამტომიანი მონოგრაფია „კულტუროლოგიის საფუძვლები“, რომელიც მოიცავს მონაკვეთებს: 1. „კულტურის გენეზისი“; 2. „კულტურის ტიპოლოგია და უნივერსალიები“; 3. „კულტურა და გლობალიზაცია“.

ყოველივე ამის შესახებ თავანკარა ენითა და მახვილგონივრულად გვემეტყველება პროფესორი ᲛᲣᲠᲛᲐᲜ ᲗᲐᲕᲓᲘᲨᲕᲘᲚᲘ ახლახან გამოსულ წიგნში, რომელსაც ასეთი სახელწოდება აქვს: „ᲡᲝᲡᲝ ᲡᲘᲒᲣᲐ — ᲤᲘᲚᲝᲚᲝᲒᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲝᲚᲝᲒᲘ“.

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲬᲘᲙᲚᲐᲣᲠᲘ

ქართული ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდები „დინამო-არენაზე“

— მინდა, მილოცვით და მადლობით დავიწყო. გილოცავთ დღევანდელ დღეს. მადლობა იმისთვის, რაც კი გაგიკეთებიათ ჩვენი ქვეყნისთვის, ქართული სპორტისთვის, ფეხბურთისთვის და იმისთვის, რასაც ყოველდღიურ რეჟიმში აკეთებთ.

ყველას კარგად გვახსოვს, თუ რამხელა სიხარული მოუტანა ჩვენს ქვეყანას 1981 წლის 13 მაისმა. ეს არ იყო მხოლოდ სპორტული ტრიუმფი, ეს სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო.

ერთი რამ შემიძლია ვთქვა, რომ მიზნისკენ სწრაფვას, შრომას, თავდადებას, ყოველთვის მოაქვს შედეგი. საკუთარ თავზე მაქვს ეს ყველაფერი გამოცდილი. აქ არიან ადამიანები, ვისაც უდიდესი წვლილი და როლი აქვს შეტანილი ჩემი საფეხბურთო კარიერის წარმატებაში. მინდა, კიდევ ერთხელ ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო მათ. დღეს ისინი ჩვენს სპორტს, მომავალ თაობებს ემსახურებიან. დარწმუნებული ვარ, რომ მომდევნო წლების განმავლობაში, შეძლებენ, ახალი, წარმატებული თაობები გაზარდონ და არა მხოლოდ თასების თასი, არამედ ჩვენ, ყველამ ერთად, ჩემპიონთა ლიგის თასები უნდა მოვიგოთ.

ასევე, მინდა დავამატო ერთი ძალიან მნიშვნელოვანი რამ. ზოგადად, ჩვენი ერთ-ერთი პრინციპი და მიმართულება ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვაა. რა თქმა უნდა, ერთობა, ერთიანი ძალისხმევა უნდა იყოს მიმართული იმისკენ, რომ ჩვენს შვილებს, მომავალ თაობებს ავუხსნათ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სპორტი, რამდენად მნიშვნელოვანია იცხოვრო ჯანსაღი წესით. არ არის აუცილებელი, რომ ყველა პროფესიონალი ფეხბურთელი ან მოჭიდავე გამოვიდეს. მთავარია, ეს ყოველდღიურობაში იყოს გადატანილი და სადაც არ უნდა ვიყოთ, რა საქმიანობითაც არ უნდა ვიყოთ დაკავებული, აუცილებლად, ყველგან და ყველაფერში დაგვეხმარება.

აქ შეკრებილი სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლებსაც მინდა, მადლობა გადავუხადო თავიანთი საქმიანობისთვის, თუმცა დღევანდელი დღე — 13 მაისი ქართული ფეხბურთის დღეა. ყველა პატარის ოცნებაა, ამ კლუბში მოხვდეს, რომელსაც თბილისის „დინამო“ ჰქვია. ამ კლუბთან არის დაკავშირებული ქართული ფეხბურთის ყველა წარმატება, ზუსტად იმ ადამიანების დამსახურებით, რომლებიც დღეს აქ არიან შეკრებილი.

მინდა, ჯანმრთელობა, დიდხანს სიცოცხლე და წარმატებები გისურვოთ იმ ყოველდღიურ საქმიანობაში, რასაც ქართული სპორტისთვის, ფეხბურთისთვის და ჩვენი ქვეყნისთვის აკეთებთ, — ასე მიმართა კახა კალაძემ გუშინ „დინამო-არენაზე“ ქართული ფეხბურთის მთავარი გამარჯვების დღის 13 მაისის აღსანიშნავად მიწვეულ ვეტერან სპორტსმენებს. შეხვედრაზე სიტყვები წარმოთქვეს პარლამენტის წევრმა, ცნობილმა ფეხბურთელმა მიხეილ ყაველაშვილმა და თანამდებობის მაჟორიტარობის კანდიდატმა ლადო კახაძემ.

სწორედ ლადო კახაძის თავისებური მხარდამჭერი აქცია გახლდათ ეს შთამბეჭდავი შეხვედრა.

ახალი ავტობუსები №85 და №95 მარშრუტებზე გავიდნენ

MAN-ის მარკის ახალი, 10-მეტრიანი მუნიციპალური ავტობუსები №85 და №95 მარშრუტების მგზავრებს ორშაბათიდან ემსახურებიან. მწვანე ფერის 50 ავტობუსი ხუთ მარშრუტზე, მათ შორის, მუხიანის დასახლების, ვარკეთილისა და ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის მიმართულებით გადანაწილდა.

დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელ მამუკა მუმლაძესთან და სხვა პირებთან ერთად, №95 სამარშრუტო ხაზზე მოძრავი ახალი ავტობუსით იმგზავრა, მოქალაქეებს გაესაუბრა და მათგან ქალაქში გადაადგილებასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ ინფორმაცია მოისმინა.

„90 ერთეული ავტობუსიდან, რომელიც შევისყიდეთ, 50 უკვე ქალაქშია და დღეიდან, თბილისის მოსახლეობას მოემსახურება. დარჩენილი 40, ათმეტრიანი ავტობუსი ერთ თვეში ჩამოვა. რა თქმა უნდა, ეს საკმარისი არ არის, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი მოვაწესრიგოთ. გარდა ამისა, 220 ერთეული, ISUZU-ს მარკის რვამეტრიანი ავტობუსები წლის ბოლომდე უნდა შემოვიდეს. ისინიც ევრო 6 ტიპის, ეკოლოგიურად სუფთა ავტობუსებია. ასევე, უკვე ვიწყებთ მუშაობას დამატებით, 200 ახალი ავტობუსის შემოყვანაზე, რომელთაგანაც 100 — გაზზე მომუშავე იქნება, ხოლო 100 — ელექტრო. ამ ყველაფრის შედეგად, არსებული ყვითელი ავტობუსების პარკის ჩანაცვლებას შევძლებთ, რომელიც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. ყვითელ ავტობუსებს ყველანაირი რესურსი ამოწურული აქვს. შესაბამისად, საჭიროა სიახლე, მეტი კომფორტი, რათა მოქალაქეებმა გადაადგილება უპრობლემოდ შეძლონ“, — განაცხადა კახა კალაძემ.

ძიძები სერტიფიცირებას დაექვემდებარებიან!

როგორც პარლამენტში წარდგენილ კანონპროექტში „ბავშვთა უფლებების კოდექსი“ ნათქვამია, ძიძების სერტიფიცირება ნებაყოფლობითი იქნება:

„ბავშვის მომვლელის (ძიძა) სტატუსი, გარკვეული გასამრჯელოს სანაცვლოდ, მოუაროს ერთ ან რამდენიმე (არაუმეტეს 5 ბავშვისა) ბავშვს მისი კანონიერი წარმომადგენლის სახლში ან მის გარეთ, ექვემდებარება ნებაყოფლობით სერტიფიცირებას. მომვლელს უფლება აქვს, მიიღოს შესაბამისი მხარდაჭერა ბავშვების აღზრდასთან დაკავშირებით სოციალური მუშაკისგან.

ბავშვის მომვლელის (ძიძა) ნებაყოფლობითი სერტიფიცირების პროცესს ორგანიზებას უწევს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

ბავშვის დაცვის და მხარდაჭერის სფეროში დასაქმებული პირების პროფესიული განვითარების სტანდარტებს, აგრეთვე მომვლელის (ძიძა) ნებაყოფლობითი სერტიფიცირების წესს და მომვლელის საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს განსაზღვრავს დებულება „ბავშვის დაცვის და დახმარების სფეროში დასაქმებული პირების პროფესიული განვითარების სტანდარტები“, რომელსაც შეიმუშავებს და ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.“ — აღნიშნულია კანონპროექტის განმარტებით ბარათში.

კანონპროექტი კანონმდებლებმა პირველი მოსმენით უკვე მიიღეს.

საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5

ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი

სპარტაკ ქობულია

599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:

გურამ გოგიაშვილი

599 53-76-16;

ალეკო ასლანიშვილი

599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი

მამუკა ვაშაკიძე

514 33-33-24

გამომცემლები:

შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

599 53-76-16; 599 36-00-35

შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა

„კოლორ პრესში“

რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

ISSN 2233-3851

9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.7400; ევრო - 3.0770;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5675;
100 რუბლი - 4.2049; თურქული ლირა - 0.4473;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6120;
1000 სომხური დრამი - 5.6823.

ამინდი 14 მაისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+7,	დღე	+27
მთიანი რაიონები -	ღამე	+3,	დღე	+24
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+8	დღე	+28
მთიანი რაიონები -	ღამე	+4,	დღე	+25
თბილისი:	ღამე	+11,	დღე	+28

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:

ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge